

30/04/2025



MES 0 25 0000463726

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 14 და 15 აპრილს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

14 აპრილის სხდომაზე შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვაში მონაწილეთა სია:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;

გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;

ანა აროშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;

ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

გოგიტა მშვენიაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- მანანა მახარაშვილი
- ნანა მონიავა
- თათია კაციტაძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

დირექტორი - თამარ გუდავაძე

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ვარლამ ავალიშვილი

კონსულტანტი - ნატალია ბარათელი

სტუდენტები - ეკა თურქია, თინათინ ტულუში, მანანა გაბრელაშვილი, თეონა თეთრუაშვილი, თამარ მარღია, თინათინ ოთარაშვილი, სოფიკო ხვიჩია, ლუკა მეფარიშვილი, რაქსანა ისმაილოვა

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

ქალბატონი ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯისათვის „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

ცენტრმა მიმართა საბჭოს შუამდგომლობით დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, რიგით მეორე შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხი განხილულიყო პირველ საკითხად, საკითხის მნიშვნელოვნებიდან და დასკვნის მოცულობიდან გამომდინარე

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ავტორიზაციის ექსპერტებს და დაწესებულებებს, იყვნენ თუ არა თანახმა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულიყო პირველ საკითხად, რაზეც საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა, ექსპერტებმა და დაწესებულებებმა სიტყვიერად თანხმობა განაცხადეს.

პირველი საკითხი: შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს“ ავტორიზაცია მოპოვებული აქვს 2019 წელს (გადაწყვეტილება #07), რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო თარიღით 17.01.2025 წელი. განმეორებითი ავტორიზაციის მიზნით ვიზიტის დროს, (13-15 იანვარი 2025 წელი), ექსპერტთა მიერ, დაწესებულებას განემარტა ის რისკები, რაც ავტორიზაციის უწყვეტობის დარღვევით შესაძლებელია გამოწვეული იყოს. ასევე დაისვა კითხვები, პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობისა და ინტერესთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლებმა, განმარტეს, რომ ისინი აცნობიერებენ არსებულ რისკებს და დასძინეს, რომ ყოველივე ეს განპირობა ფართის ცვლილებამ, რამაც გამოიწვია ავტორიზაციის განაცხადის დაგვიანებით წარდგენა. მათ ასევე განმარტეს, რომ პროფესიული სტუდენტები, მათი კანონიერი წარმომადგენლები (საჭიროების შემთხვევაში), ინფორმირებულები იქნებიან არსებული გარემოების შესახებ, მათთვის შეთავაზებული იქნება სტატუსის შეჩერება, ხოლო შემდგომ, პოზიტიური გადაწყვეტილების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენა და სწავლის გაგრძელების ან მობილობით სარგებლობის შესაძლებლობის შეთავაზება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, 23.01.2025 წელს გამოქვეყნდა ინფორმაცია დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტების სტატუსისა და სტუდენტთა კანონიერი უფლებების შესახებ. ცენტრის ვებ გვერდზე განთავსდა ასევე ინფორმაცია განმეორებითი ავტორიზაციის პროცესთან და დაწესებულების მხრიდან ვადების მნიშვნელოვნად დარღვევის შესახებ (დაწესებულებამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რეავტორიზაციის განაცხადით მიმართა 2024 წლის 15 ოქტომბერს, ხოლო კანონმდებლობის მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად წარადგინა 6 დეკემბერს). რის შემდეგ, უმოკლეს ვადებში, დაიგეგმა და განხორციელდა ვიზიტი (ცენტრის დირექტორის 25/12/2024 წლის ბრძანება MES 5 24 0001654468 „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში ვიზიტის შესახებ“). ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13, 14 და 15 იანვარს ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: მანანა მახარაშვილი (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,

თავმჯდომარე), ნანა მონიავა (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი), თათია კაციტაძე (დარგის ექსპერტი - „საექთნო განათლება“), მედეა ზურაბიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ბუღალტრული აღრიცხვა“). ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის შეფასება (მის: ქ. თბილისი, რაფიელ აგლაძის N25). ამასთან, ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ განხილული იყო ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების MES 6 24 0000548639 (20.05.2024 წ.) და MES 5 24 0000555351 (21.05.2024 წ.) საფუძველზე, 2024 წლის 30-31 მაისს განხორციელებული მონიტორინგის დროს ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულების ვადების დაცვა. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვა" ამავე დებულების 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტთან შესაბამისობის შემოწმება.

მონიტორინგის დროს, ექსპერტთა მიერ მეხუთე სტანდარტის 5.2.2(3) ინდიკატორი შეფასდა უარყოფითად, რაც ეხება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის დროულად ასახვას. ექსპერტების მიერ არ იქნა გაზიარებული, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი სისტემაში ასახული ინფორმაციის შესახებ მტკიცებულებები. თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 23 აგვისტოს სხდომის ოქმის (MES 4 24 0001012685) ჩანაწერის შესაბამისად ირკვევა, რომ დაწესებულებამ საბჭოზე ხარვეზთან დაკავშირებით წარადგინა ფინანსური დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა, რომ პსდ-ს კონკრეტული სტუდენტის ვაუჩერით არ უსარგებლია. საბჭოს გადაწყვეტილებით, გამომდინარე იქედან, რომ გამოვლენილი ხარვეზი პირდაპირ არ ახდენდა „ხარისხიანი განათლების მიწოდების პროცესზე ზეგავლენას“, დაწესებულებას მიეცა შესაძლებლობა რეავტორიზაციის გზით გამოესწორებინა ყველა დაფიქსირებული ხარვეზი, ასევე გაეთვალისწინებინა გაცემულ რეკომენდაციები რეავტორიზაციისთვის, განათლების ხარისხის მაღალ დონეზე უზრუნველყოფის მიზნით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებსა და არგუმენტირებულ პოზიციას ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა და ინდიკატორების: 4.1.2.2; 4.2.1.1; 4.2.1.2; 5.1.2.1; 5.2.1.2 შეფასების გრადაცია „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები შემდეგ შინაარსს მოიცავდა: ინდიკატორი 4.1.2.(2) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით - „დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის შერჩევის პოლიტიკისა და პროცედურების გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავებით შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა და დასაქმება, განახორციელოს კოლეჯის პერსონალის მართვის პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ერთი კვირა“ - პსდ-ს შიდა ნორმატიული დოკუმენტები „შინაგანაწესი“, „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ რედაქტირდა და დამტკიცდა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისი #00006418 ბრძანებით. პერსონალის შერჩევის შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დებულებები შესაბამისია მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან - ინდიკატორის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რეგულაციების საკანონმდებლო

მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის კონტექსტში შეფასდა - „შესრულებულია ვადების დაცვით“, თუმცა დაწესებულების მხრიდან პრაქტიკაში მათი დაცვა/აღსრულება არ ხდება. ინდიკატორი 4.2.1.(1) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით - დაწესებულებამ განახორციელოს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა - დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2024 წლის სექტემბერ-დეკემბერში განხორციელებული პროფესიული განათლების მასწავლებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი #00000246, 14.01.2025). აღნიშნულ საკითხს თემატურად ეხება ასევე პსდ-ში განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგი (14.09.2024; 13.11.2024; 27.11. 2024; 24.12.2024), რომლის ერთ-ერთი კითხვარი (შეფასების ფორმა #4) ეხება მასწავლებლის პროფესიული უნარების შეფასებას. ინდიკატორი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, პერსონალის გამოკითხვასთან დაკავშირებით, შესრულებულია ვადების დაცვით. თუმცა ვიზიტის პერიოდისთვის დაწესებულებას არ ჰქონდა დადგენილი პერსონალის განვითარების საჭიროებები დადგენილი, არ ყოფილა წარმოდგენილი პერსონალის განვითარების გეგმა. ინდიკატორი 4.2.1.(2) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით - დაწესებულებამ განახორციელოს პერსონალის განვითარება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის შესაბამისად - პსდ-ს მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი პერსონალის განვითარების გეგმა, შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების მტკიცებულებები. რეკომენდაციის გაცემისა და დასკვნის პსდ-სთვის წარდგენიდან, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა ამოწურულია, თუმცა პსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან არ გასულა 6 თვე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად. ინდიკატორი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა სრულდება ვადების დაცვით. ინდიკატორი 5.1.2.(1) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით - დაწესებულებამ უზრუნველყოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა, რაც დადასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების დასკვნით ან შესაბამისი მიწერილობით. - პსდ-ს მიერ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირთან, სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან გაფორმებული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება #35/12 და მიწერილობა MIA 6 24 03744241, რომელთა თანახმად პსდ ფაქტობრივ მისამართზე უნდა განხორციელდეს სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. რეკომენდაციის გაცემისა და დასკვნის პსდ-სთვის წარდგენიდან, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა ამოწურულია, თუმცა პსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან არ გასულა 6 თვე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად. ინდიკატორი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა სრულდება ვადების დაცვით. 5.2.1.(2) დაწესებულებამ შეიმუშაოს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მექანიზმები და გამოიყენოს პრაქტიკაში - პსდ-ს მიერ წარმოდგენილია შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისი #00006418 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა“. შემუშავებული აქვს ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია რისკების მართვის მიზნები, ძირითადი კრიტერიუმები. დაწესებულების მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი მისი პრაქტიკაში დანერგვის მტკიცებულებები (ამ ეტაპისთვის არაა განსაზღვრული კრიტიკული ინფორმაცია, მართვის კონკრეტული ღონისძიებები). რეკომენდაციის გაცემისა და დასკვნის პსდ-სთვის წარდგენიდან, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა ამოწურულია, თუმცა პსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან არ გასულა 6 თვე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის

შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად. ინდიკატორი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა სრულდება ვადების დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მონიტორინგის დროს გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულება შეფასდა ნაწილობრივ დამაკმაყოფილებლად, მიზანშეწონილი იქნებოდა, იმ ამოცანების/საკითხების, რომელთა შესრულებაც სრულად დამოკიდებული იყო დაწესებულების ადამიანურ რესურსზე, პსდ-ს დაეგემა და განეხორციელებინა ისე, რომ განმეორებითი ავტორიზაციის ვიზიტისთვის ყოფილიყო აღმოფხვრილი/გათვალისწინებული. განმეორებითი ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შეფასდა გეგმით განსაზღვრული ყველა კომპონენტი, გარდა ადმინისტრაციულ პერსონალთან, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისა. ამ მხრივ, გასაუბრება შედგა მხოლოდ ფინანსურ მენეჯერთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელთან. 3 დღის განმავლობაში, გასაუბრება ვერ შედგა ასევე „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთანაც. შპს „ავიციენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯში“ განმეორებითი ავტორიზაციის ვიზიტის დროს, დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ყველა სტანდარტთან, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის, შეფასდა არადამაკმაყოფილებლად - „არ შეესაბამება“.

ასევე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციებზე, განმავითარებელ რეკომენდაციებსა და დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ არგუმენტირებული პოზიციის შესახებ.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.3 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

ინდიკატორი (1) - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. პსდ აღნიშნული ინდიკატორი თვითშეფასების დოკუმენტში შეფასებული აქვს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. წარმოდგენილია ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს „ავიციენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის №18090 13/11/2024 ბრძანებით. შესაბამისობის გეგმის თანახმად, ინდიკატორის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თარიღად, განსაზღვრულია 30.03.2025 წელი. ინდიკატორის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა დაწესებულების მიერ თვითშეფასებისა და პსდ-ების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება მიღებულია 2024 წლის 23 აგვისტოს, საფუძველი პსდ-ს დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა). რის საფუძველზეც შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადაა 23.02.2025 წ. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იყო ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაფორმებული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა და მისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და პსდ-ს დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადაა 23.02.2025 წ.).

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

ინდიკატორი (2) - მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან - მისიით „ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების, მათი დასაქმების და თვითდასაქმების უზრუნველყოფა, ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინების გზით“, განსაზღვრულია კოლეჯის როლი, თუმცა, განაცხადით არ იკვეთება დაწესებულების პროფილი. სასურველია გადაიხედოს მისიის ტექსტი და ნათლად გამოიკვეთოს კოლეჯის საქმიანობის ძირითადი პროფილი/მიმართულებები და კონკრეტული მახასიათებლები, რითაც კოლეჯი გამოირჩევა პროფესიული განათლების ბაზარზე სხვა პროვაიდერებისგან.

ინდიკატორი (4) - მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი - სასურველია მისიასა და ხედვაში განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებების ასახვა იმ დოკუმენტებში, სადაც ციტირებულია აღნიშნული ტექსტები/განაცხადი. პსდ-მ დოკუმენტებში უზრუნველყოფილი იყოს ბოლო რედაქციის/ვერსიების გამოყენება.

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

ინდიკატორი (1) - პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა - დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის რესურსების განსაზღვრისას, სასურველია უზრუნველყოს ამოცანების შესაბამისი ფინანსური რესურსების იდენტიფიცირება და პროექტის წარდგენისას, უზრუნველყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმის მიზნების/ამოცანების სრულად ასახვა, ან არჩევის/არ არჩევის შემთხვევაში არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენა დოკუმენტის დამტკიცებამდე. ასევე წლიურ სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს ამოცანის/აქტივობის შესრულების პერიოდი (თვე/კვარტალი).

ინდიკატორი (2) - სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს - მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი მეთოდოლოგიის დამტკიცებამდეა შემუშავებული, სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს პრაქტიკა სტრატეგიული დაგეგმარების ან/და სამოქმედო გეგმების ამოცანათა განსაზღვრისას, მით უფრო მაშინ, როდესაც განმეორებითი განმეორებით ავტორიზაციის პროცესშია, განახორციელოს საქმიანობაზე მოქმედი როგორც შიდა ისე გარე ფაქტორების და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების ანალიზი.

ინდიკატორი (3) - დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს - დაწესებულების მიერ სტრატეგიული დაგეგმვის მიზნები მისიასთან წინააღმდეგობაში არაა, თუმცა რიგი მიზნები და ამოცანები არაა შესაბამისი, ასევე არაა სწორად განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებამ, სასურველია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისას, გაითვალისწინოს დადგენილი მეთოდოლოგიის თანახმად მიზნების, ამოცანების, ინდიკატორების განსაზღვრის მითითებები. უზრუნველყოს ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების სწორად განსაზღვრა და ფინანსური რესურსის/წყაროების მითითება, თუ რა რესურსებით შეძლებს დასახული მიზნების მიღწევას.

სტანდარტი 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორი (2) – პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს - პროფესიული სტუდენტები სრულყოფილად არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარი უფლებების ან/და კარიერული შესაძლებლობების შესახებ (ფორმალური განათლების აღიარების, ან კვალიფიკაციის ფარგლებში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ). ასევე პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ჩანაწერს, რომლითაც პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისთვის პსდ-ს მიერ გადაგზავნილ დოკუმენტაციას/რეგულაციებს გაეცნო, თუმცა მსგავსი მტკიცებულებები პსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა. სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობის შესახებ პროგრამა, სადაც დეტალურად გაიწერება ყველა ის საკითხი, რომელთა განხილვაც უნდა მოხდეს ასეთი ტიპის შეხვედრებზე. ასეთი მიდგომა თავიდან აარიდებს დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის ინფორმაციის არასრულფასოვნად მიწოდებას. ასევე შესაძლებელია დაიბეჭდოს, ან მომზადდეს აღნიშნული ინფორმაციის შესახებ ბუკლეტი, რაც გადაეცემათ ან დაეგზავნებათ ელექტრონული სახით.

ინდიკატორი (3) - პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით; - სასურველია, პსდ-მ განმეორებითი შეფასების სარგებლობისთვის შიდა რეგულაციებით დადგენილი პუნქტები მოიცვანოს შესაბამისობაში და განმეორებითი შეფასებისთვის განისაზღვროს ზოგადი პერიოდი, რომელიც მისაღები იქნება ყველა შეფასებისთვის, გარდა მოდულის წინაპირობების არსებობის შემთხვევებისა. პსდ-მ დააკონკრეტოს აღნიშნული უფლებით სარგებლობის ყველა პირობა, რათა პროფესიული სტუდენტისთვის წინასწარ იყოს ცნობილი გადაბარების ყველა პირობა. მათ შორის, აღნიშნული უფლებით სარგებლობა ფასიანია თუ უფასო. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს, შუალედური შეფასების განხორციელების პერიოდი და პირობების გაცნობა, პროფესიულ სტუდენტებს ეცნობოს უფრო ადრე, ვიდრე შიდა რეგულაციითა განსაზღვრული. ამასთან, შუალედური შეფასების ფუნქციიდან გამომდინარე, რომ ის არის განმავითარებელი და არა განმსაზღვრელი შეფასება, მიღებული შეფასების შედეგის გამო განმეორებითი შეფასება გარკვეულწილად ალოგიკურია.

ინდიკატორი (5) – პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - პსდ-ს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (№01/22 ბრძანება, 01.09.2020), რომლითაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადგომის შემთხვევები და მის მართვაზე/ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რაც არ შეესაბამება დაწესებულების ორგანიზაციულ მოწყობას/საშტატო განრიგს. დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს შიდა რეგულაციებში იმ პოზიციების/სტრუქტურული ერთეულების გამოყენება, რომელსაც მოიცავს პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა ან/და საშტატო განრიგი.

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორი (3) - პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას - დაწესებულების საქმისწარმოების წესის თანახმად შესრულების ვადები განსაზღვრულია ზოგადი ჩანაწერით, რომ „არ აღემატება ზაკ-ით განსაზღვრულ ვადებს“. თუმცა დოკუმენტაციის შესწავლით, ერთიდაიგივე შინაარსის სერვისებზე დაწესებულების რეაგირების ვადები სხვადასხვაა. მიუხედავად იმისა, რომ პსდ-ს მიერ გამოცემული აქტების ვადა არ აღემატება ზაკ-ით დადგენილ მაქსიმალურ ვადას (3 თვე), წარმოდგენილი დოკუმენტებით არ იკვეთება განსაკუთრებული გარემოებები, რაც გამართლებულს გახდიდა მინიმალური ვადების მიღმა პერიოდში საქმეთა შესრულებას. სასურველია, პროფესიული სტუდენტებისთვის გონივრულ ვადებში მხარდაჭერისა და სერვისის მეტი ეფექტიანობის

უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-ს შიდა რეგულაციებში, ზოგადი მითითების ნაცვლად, დაკონკრეტდეს შესრულების ვადები და განსაკუთრებული გარემოებები, რა შემთხვევაშია უფლებამოსილი დაწესებულება გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური ვადა, ასევე აკონტროლოს საქმეთა შესრულების ვადები კოდექსით განსაზღვრულ მინიმალურ ვადებში.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორი (3) - პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით; - პსდ-ს შიდა რეგულაციით განსაზღვრული აქვს დაინტერესებული მხარეების მ.შ. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის პერიოდულობა (6 თვეში ერთხელ), თუმცა სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს “კარიერისა და პროფესიული ორიენტაციისა და დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“-თ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით გამოკითხვების/კვლევების პერიოდულობის/ვადების დაცვა.

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორი (1) - პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - სასურველია საშტატო განრიგმა, ორგანიზაციულმა სქემამ მოიცვას დაწესებულების ყველა ფუნდამენტურ პროცესზე პასუხისმგებელი პირი/ადმინისტრაციული პოზიცია. განისაზღვროს პერსონალის სახეები (ადმინისტრაციული პერსონალი, ტექნიკური პერსონალი, დამხმარე პერსონალი, სპეციალისტი და სხვა). პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პიროვნულ/პროფესიულ უნარ-ჩვევებთან ერთად სასურველია, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავდეს, მოვალეობის შესასრულებლად აუცილებელ სპეციფიკურ ცოდნას; განისაზღვროს კონკრეტული პოზიციისთვის განისაზღვროს სპეციფიკური მოთხოვნები, განათლების მიმართულება/სფერო, დაკონკრეტდეს გამოცდილების ხანგრძლივობა. უზრუნველყოფილი იქნეს სამუშაო აღწერილობების პერსონალის მხრიდან გაცნობის დადასტურება და მათი პირად საქმეში განთავსება.

ინდიკატორი (2) - პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - პსდ-მ სასურველია დაწესებულების სტრატეგიული დოკუმენტების (მისია, ხედვა მიზნები, ღირებულებები), ასევე ფუნდამენტური პროცესების ეფექტური მართვის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-ში არსებული პოზიციებისთვის და მათი შესასრულებელი მოვალეობების, ასევე სტრატეგიული ამოცანების შესრულებაში, მათი როლის გათვალისწინებით მიზნით, გადახედოს დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურას, განსაზღვროს მათი კოორდინაციის და დაქვემდებარების ეფექტური სქემა. **ინდიკატორი (3)** - პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს - სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო დარგში დირექტორის ფუნქციები, ავტორიზაციის და თვითშეფასების ადმინისტრირება-ხელმძღვანელობის შესახებ, გაიმიჯნოს. ასევე პროცესის მართვისა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, ვერიფიკაცია-ვალიდაციის პროცესების მართვის შესახებ ბრძანებები გამოიცეს ინდივიდუალურად. ბრძანებით განსაზღვრულ ვერიფიკატორებთან/ვალიდატორებთან მიეთითოს, პსდ-ში მათ მიერ დაკავებული თანამდებობა, კვალიფიკაცია და მოდული/მოდულები, რომელსაც ახორციელებენ. პსდ-მ ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებამდე, გადახედოს დამტკიცებული ჯგუფებს და დააზუსტოს ვერიფიკატორების/ვალიდატორების სია მათ მიერ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესებში მონაწილეობის შესაბამისად.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას ინდიკატორი (2) - პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით - სასურველია პსდ-მ, პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებში გაითვალისწინოს და შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის №159/ნ და №162/ნ ბრძანებების მოთხოვნებთან, ასევე შესაბამისობაში მოვიდეს შიდა რეგულაციებით განსაზღვრული ურთიერთგამომრიცხავი დებულებები.

ინდიკატორი (3) - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - სასურველია პსდ-ს მიერ, განხორციელდეს პერსონალის პირადი საქმეების პერიოდული რევიზია და მათი განახლება/სრულყოფილად დაკომპლექტდება.

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორი (3) - პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით - სასურველია, პსდ-მ განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და კარიერული წინსვლის მართვასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციების ანალიზი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის №159/ნ და №162/ნ ბრძანებებთან შესაბამისობაზე. აღნიშნული რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინებითა და დადგენილ ვადებში დაგეგმოს და განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კორპუსის პროფესიულ განვითარებასა და კარიერული წინსვლის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ინდიკატორი (4) - პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან - სასურველია დაწესებულებამ, თანამშრომლის მიღებისას, მისი სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციისას დაიცვას შემუშავებული შიდა პროცედურა და უზრუნველყოს პროცესის დოკუმენტირება. **ინდიკატორი 5.** პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები - სასურველია პსდ-ს პერსონალმა უზრუნველყოს განხორციელებული მონიტორინგის/შეფასების შედეგების დროული და სრული ანალიზი, მ.შ. ანგარიში მოიცავდეს შეფასების რეიტინგსა და შიდა მეთოდოლოგიის შესაბამისად წინადადებებს/რეკომენდაციებს.

5.3. ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორი (4) - დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე - დაწესებულება აქცენტს აკეთებს შედეგებზე და ამოცანის აქტუალობიდან გამომდინარე, ხდება შეუსრულებელი ამოცანების მომდევნო წლის გეგმაში გადატანა. მაგრამ არ ხდება შეფასების შედეგების ანალიზის, მათ შორის, მაკორექტირებელი ან გაუმჯობესების ღონისძიებების, დოკუმენტირება, რაც შესაძლებელს გახდის მათი ეფექტურობის შეფასებას. სასურველია სრულყოფილი შეფასებისა და ანალიზის მიზნით, პსდ-მ უზრუნველყოს საქმიანობის ყველა კომპონენტთან ხარისხის სისტემის მენეჯმენტის „დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-იმპლემენტაცია“ ციკლის დანერგვა და შეფასებისა და რეაგირების ქმედებების დოკუმენტირება.

რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით ინდიკატორი (3) - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; ასევე ინდიკატორი (4) შეფასების კომპეტენცია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - პსდ-მ სასურველია გადახედოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის/ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს, ასახოს დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესში ყველა ის მნიშვნელოვანია ფუნქცია-მოვალეობა, რომელთა შესრულებაც, მათი როლიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია პროგრამის ადმინისტრირებისთვის და რომელთა შესრულებაც უწყვეტ განმახორციელებელ პირებს. ამასთან უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის #162/ნ „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“(15/10/2024) მოთხოვნების გათვალისწინებით, პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება. **(შენიშვნა: რეკომენდაცია ეხება ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო განათლება“) ინდიკატორი (6)** - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - პსდ-ს პროცედურაში „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, არასწორადაა განსაზღვრული პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების დასახელება. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა რეგულაციებში იმ პოზიციების/სტრუქტურული ერთეულების გამოყენება, რომელსაც მოიცავს პსდს ორგანიზაციული სტრუქტურა ან/და საშტატო განრიგი. **(შენიშვნა: რეკომენდაცია ეხება ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო განათლება“) ინდიკატორი (7)** პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - პსდ-ს შიდა რეგულაციით განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის ჯგუფში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა - 5 პროფესიული სტუდენტი, ხოლო პროგრამისთვის წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტში რენტაბელობის ზღვარია 15 პროფესიული სტუდენტი. რეგულაციით არაა განსაზღვრული მექანიზმები თუ რა რესურსით მოხდება პროგრამის განხორციელებისთვის გასაწევი დანახარჯების დაფარვა, პროგრამაზე ხუთიდან თხუთმეტ სტუდენტამდე ჩარიცხვის შემთხვევაში, ანუ რენტაბელობის ზღვრის ქვემოთ. პსდ-მ სასურველია განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებისა და რენტაბელობის განსაზღვრისას ყველა შესაძლო რისკი და მათი პრევენციის/კორექტირების ღონისძიებები.

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ინდიკატორი (2) - პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით, პსდ-ს მიერ განხორციელებულია პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, პროგრამის განხორციელებაზე/სასწავლო პროცესზე მონიტორინგი, რომელთა შედეგები ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე წარდგენილია დირექტორთან. სამსახურებრივი ბარათი/ანგარიში არ მოიცავს გაუმჯობესების ინიციატივების შესახებ დოკუმენტირებულ ინფორმაციას. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს გამოკითხვისა და მონიტორინგის ან/და პროგრამის შეფასების შედეგების ანგარიშში, შედეგების ანალიზის

საფუძველზე პროგრამის გაუმჯობესების შესახებ წინადადების/რეკომენდაციების ასახვაც. (შენიშვნა: რეკომენდაცია ეხება ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო განათლება“)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ინდიკატორი (1) - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - ვიზიტის დროს გადამოწმდა დამტკიცებული სასწავლო ცხრილების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. ადმინისტრაციული პერსონალის განმარტებით მეცადინეოები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სალექციო ცხრილების და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად, თუმცა, ვიზიტის პერიოდში ვერ დადგინდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისობა გეგმასთან, რადგან ვერ შედგა ინტერვიუ სასწავლო ჯგუფებთან/პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთათვისაც საწსავლი ცხრილით დაგეგმილი იყო მეცადინეოები ვიზიტის დღეებში. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს წინასწარ დაგეგმილი სასწავლო გეგმის/ცხრილის შესაბამისად განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო ცვლილების განხორციელების საჭიროებისას, გამოსცეს შესაბამისი აქტი ან შექმნას ცვლილების შესახებ ინფორმაციის დოკუმენტირება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ინდიკატორი (2) - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - პსდ შიდა პროცედურით განსაზღვრული და პსდ-ს მასწავლებლების მიერ აღწერილი ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესები არაა თანხვედრაში. ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციით რთულია ინტერესთა კონფლიქტის კონტროლი. აღნიშნულ პროცესებსა და პროცედურასთან არსებულ შეუსაბამობებთან დაკავშირებით განმარტება არ გაკეთებულა პროცესზე პასუხისმგებელი პირებისგანაც. გამომდინარე გარემოებიდან, რომ დაწესებულებაში ვერიფიკაცია ჯერ არ განხორციელებულა, გამოცემულია მხოლოდ აქტები, ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისად“ და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასურველია დაწესებულებამ გადახედოს გამოცემულ აქტებს და უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის განხორციელებამდე, ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გადახედოს დამტკიცებულ ჯგუფებს და დააზუსტოს ვერიფიკატორების/ვალიდატორების სია მათ მიერ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესებში მონაწილეობის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ინდიკატორი (1) - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - დაწესებულების 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი“, რომელიც „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისია. შუალედური შეფასებაც ასევე ფასდება 100 ქულიანი სისტემით და „მიუხედავად მისი შედეგისა, წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას (პ. 2.8.). წესი ითვალისწინებს ასევე შუალედურ შეფასებაზე განმეორებითი გასვლის შესაძლებლობას, როგორც პირებისთვის, ვინც არ გამოცხადდა, ასევე იმ პირებისთვის ვისაც სურს მიღებული შედეგის გაუმჯობესება. არ არის მითითება არა დიფერენცირებულ შეფასებაზე. ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების ფარგლებში

განმსაზღვრელი შეფასებების მტკიცებულებების/შეფასების ინსტრუმენტებში ტესტური სხვადასხვა რაოდენობის ტესტური კითხვებისთვის დათმობილი იყო თანაბარი დრო (მაგ. ანატომია-ფიზიოლოგიის ტესტებში 15 კითხვიან 30 კითხვიან ტესტებს ერთნაირად აქვს დათმობილი დრო - 2 საათი) ასევე მიკრობიოლოგიის ტესტებში, ყველგან არ იყოს განსაზღვრული ტესტის შესრულებისთვის განკუთვნილი დრო. - მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს მითითების გაკეთება, რომ დიფერენცირებული შეფასების მიდგომასთან ერთად, მიღებული ქულის კონვერტაცია ხდება დიფერენცირებული შეფასების ფორმატში. ასევე გადაიხედოს შეფასების ინსტრუმენტები და განისაზღვროს ტესტური კითხვების რაოდენობისა და სირთულიდან გამომდინარე, ტესტების შესრულებისთვის შესაბამისი დრო.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე:

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიცია წარმოდგენილია 2025 წლის 12 მარტის #00003581 წერილით. კორესპონდენციას თან ახლავს 7 დანართი, რომელიც ასევე მოიცავს პსდ-ს დირექტორის 2025 წლის 13 მარტის #00003607 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმას. წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას ექსპერტები არ იზიარებენ, არა მხოლოდ კორესპონდენციისა და დანართის თარიღების აცდენების გამო, არამედ, ასევე თავად გეგმაში, პსდ-ს მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრისთვის განსაზღვრული შესრულების ვადების გამოც, მაგ: 1. ინდენტიფიცირებული პრობლემა - კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმის განხილვა დაინტერესებული პირების ჩართულობით. 1.2.2.1; ვადები: 12/03/2025 - 12/09/2025; 2. ინდენტიფიცირებული პრობლემა - 3.1.1.1.-3.1.1.4 ენის ფლობის დოკუმენტაციის უზრუნველყოფა, მათთვის ვისაც ტესტირება გავლილი აქვს მშობლიურ (აზერბაიჯანულ) ენაზე, საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება შიდა რეგულაციების შესაბამისად; ვადები - 12/03/2025 - 12/04/2025; ჩარიცხვების პერიოდი; 3. ინდენტიფიცირებული პრობლემა - 4.1.2.1. შრომითი ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო არსებითი პირობით; ვადები: „ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ მიგნებების გაცნობისთანავე შემუშავდა ახალი შრომითი ხელშეკრულების ფორმა საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად“; 4. ინდენტიფიცირებული პრობლემა - 4.1.2.3. რიგი პირადი საქმეების წარმოება კოლეჯის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; ვადები: 15/01/2025 - 11/03/2025 5. ინდენტიფიცირებული პრობლემა - 4.2.1.1. 4.2.1.2. პერსონალის საქმიანობის შეფასების იმპლემენტაცია და შეფასების შედეგების გამოყენება პროფესიული განვითარების საჭიროებებისათვის; ვადები: 25/12/2024- 25/12/2025 ექსპერტები არ იზიარებენ ასევე შესაბამისობის გეგმის შინაარსს. გეგმა არ მოიცავს დასკვნაში იდენტიფიცირებულ ხარვეზებს სრულად, ხოლო “იდენტიფიცირებული პრობლემების” გადაჭრის აქტივობები არ მიგვაჩნია ვალიდურად, ვერ უზრუნველყოფენ პროცესების გაუმჯობესებას. დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში გამოხატავს გაკვირვებას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ექსპერტთა მონიტორინგისა და ავტორიზაციის ჯგუფების მიერ „სტანდარტების შეფასების კრიტერიუმებისადმი და მტკიცებულებებისადმი არაერთგვაროვანი აღქმის“ და „რადიკალურად განსხვავებული“ შეფასებების გამო. აღნიშნულ პოზიციასთან დაკავშირებით დაწესებულებას ჩვენი მხრივ შევახსენებთ, რომ ექსპერტთა ჯგუფებმა დაწესებულება შეაფასეს სხვადასხვა მისამართებზე, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოსა და გარემოებებით. ავტორიზაციის ვიზიტზე, პროცედურებთან ერთად, გამოთხოვილი იქნა უმთავრესად პროცესების მტკიცებულებები, რაც უმრავლეს შემთხვევებში არ იყო წარმოდგენილი ან იყო არა ვალიდური.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ასევე ცალკეულ ინდიკატორებთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ პოზიციას, შესაბამისად ინდიკატორების/კომპონენტების/სტანდარტების შეფასება რჩება უცვლელი.

პსდ ინდიკატორებთან დაკავშირებით, საკუთარ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, შედარებისა და „განსხვავებული შეფასებების“ დემონსტრირებისთვის, ახდენს როგორც მონიტორინგის და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებიდან შეფასებების ციტირებას. დაწესებულება, წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით, აქცენტებს აკეთებს დასკვნაში დაფიქსირებულ შემდეგ ხარვეზებზე: კომპონენტი 3.2.2 - პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება, ინდიკატორი (4) - კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს - „არ შეესაბამება სტანდარტს“.

პსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია/პასუხი: - „კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“ მიხედვით განსაზღვრულია კურსდამთავრებულთა კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაქმების სფეროს, დასაქმების თაობაზე ინფორმაციის მოძიების გზების, კოლეჯში მიღებული ცოდნის ტრანსფერს სამუშაო ადგილზე, დასაქმების პროცესში შემაფერხებელი გარემოების არსებობის შესახებ. ვინაიდან, კოლეჯს ამ ეტაპისთვის არ ჰყავს კურსდამთავრებული, კურსდამთავრებულთა კვლევა განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ. ანუ იმ დროს როცა კურსდამთავრებულების უმეტესობა, სავარაუდოდ, უნდა იყოს დასაქმებული და დამსაქმებლებს უშუალოდ ექნებათ წარმოდგენა მათი თანამშრომლების უნარების შესახებ“. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია/პასუხი: პსდ-ს მიერ საკითხი განხილულია კონტექსტიდან ამოგლეჯილად. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასების ტექსტს აკლია ბოლო წინადადება „იხ. ასევე 3.2.1 (5) ინდიკატორის აღწერა.“, რამაც იმოქმედა საბოლოო შეფასებაზე. ინდიკატორის უარყოფითი შეფასების შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა კურსდამთავრებულთა გამოკითხვისა და მათთან უკუკავშირის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებაც ანალოგიურია -ამონარიდი ინდიკატორის შეფასებიდან: „დაწესებულებას ამ ეტაპისთვის ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული, შესაბამისად, განხორციელებული აქტივობები აღნიშნული მიმართულებით არ აქვს. შესწავლილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა დადებითად“, რასაც დაწესებულება არ აღნიშნავს! ინდიკატორის უარყოფითი შეფასება განაპირობა არა იმ ფაქტორმა, რასაც პსდ აღწერს, არამედ იმან. რომ დაწესებულება, „კარიერისა და პროფესიული ორიენტაციისა და გეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“-ს თანახმად, არ ახორციელებს დაგეგმილი კარიერული მომსახურების კვლევებს. შესაბამისად უკუკავშირის საფუძველზე, არ ხდება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება/გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. კარიერული მხარდაჭერის მიზნით, რეგულაციის/მეთოდოლოგიის თანახმად, გარდა კურსდამთავრებულების კვლევისა, კოლეჯი 6 თვეში ერთხელ სტუდენტების გამოკითხვის წარმოების ვალდებულებასაც იღებს (ამონარიდი „პსდ პროფესიული ორიენტაციის სერვისებთან დაკავშირებით, 6 თვეში ერთხელ განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, ხოლო წელიწადში ერთხელ კურსდამთავრებულთა კვლევას (არსებობის შემთხვევაში)“. პსდ-ს მიერ, გამოკითხვის ან დაგეგმვის შესახებ შესაბამისი მტკიცებულებები/ღონისძიებათა გეგმა წარმოდგენილი არ ყოფილა. მათ შორის აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის გამოკითხვის შედეგები, სადაც კოლეჯში მიღებული განათლების შედეგების შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების მოლოდინთან, პოზიტიურად მხოლოდ 38,1%-მა შეაფასა. კოლეჯში მიღებული განათლებაპირდაპირ კავშირშია პროფესიული სტუდენტის კარიერულ განვითარებასთან. პსდ-ს მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი არც დოკუმენტირებული და არც ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია საკითხის

გაუმჯობესების შესახებ. რაც შეეხება მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს, მათი შეფასება ეხება პროცედურას არა პროცესს, ვინაიდან ვიზიტის დროს პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის პერიოდი არ იყო პროცედურის თანახმად აქტუალური, ხოლო კურსდამთავრებულებთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფების მიერ (არც მონიტორინგის და არც განმეორებითი ავტორიზაციის) საკითხი ნეგატიურად არ შეფასებულა. ზემოთ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა არადამაკმაყოფილებლად - „არ შეესაბამება“ - კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება არ აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების პოზიციას და შეფასება რჩება უცვლელი.

5.1.1. პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას ინდიკატორი (1) - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით - „არ შეესაბამება“.

პსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია/პასუხი: „დაწესებულებამ შპს „ჯი ეს ჯი“-სთან შენობა-ნაგებობის ქვეიჯარით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმებით გაზარდა ვადა ავტორიზაციის ვადით, კერძოდ 2031 წლამდე (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იხ. დანართი #3)“ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია/პასუხი: განმეორებითი ავტორიზაციის მიზნით ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13-15 იანვარს. დაწესებულებამ აღნიშნული საკითხის მოგვარება, ხელშეკრულების მინიმუმ ავტორიზაციის ვადით გაფორმება და საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილების რეგისტრაცია, დაიწყო ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს აღმოჩენილი შეუსაბამობის/მიგნების გაცნობის შემდეგ. წარმოდგენილი დოკუმენტის მომზადების თარიღია 16.01.2025 წელი. გარდა იჯარის ხელშეკრულებისა, ინდიკატორის უარყოფითად შეფასება განაპირობა ასევე მატერიალური რესურსის ფლობის/განკარგვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენამ (იხ. ინდიკატორის აღწერა). ამ კონკრეტულმა გარემოებამ განაპირობა ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ უარყოფითად შეფასება 2.1.1 (3), „პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით“, ინდიკატორთან მიმართებით. პსდ-ს მიერ, საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტაა 40 პროფესიული სტუდენტი, ხოლო მეთოდოლოგიით ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით. პსდ-ს წარმომადგენლების განმარტებითა და დოკუმენტაციით 2 ცვლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესისთვის ესაჭიროება 20 სამუშაო ადგილი აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკით/კომპიუტერებით. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იყო 15 კომპიუტერის ფლობის დოკუმენტაცია. პსდ-ს მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ჩუქების ხელშეკრულება. დოკუმენტი დათარიღებულია 30.08.2024 წლით. აღნიშნული დოკუმენტი ბევრად ადრეული თარიღისაა, ვიდრე ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა (2025 წლის 13-15 იანვარი). პსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საქმისწარმოების პრაქტიკის ანალიზისაფუძველიან ეჭვს ბადებს, რომ ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ან საავტორიზაციო დოკუმენტაციასთან ერთად, ან „3 დღის განმავლობაში, ვიზიტის პერიოდშივე იქნებოდა წარმოდგენილი. ამასთან, დაწესებულების დირექტორის განმარტებით, კომპიუტერების პსდ-ს მიერ განკარგვა/ფლობას მოიცავდა ყოფილი შენობის იჯარის ხელშეკრულება, რაც ვერ იქნებოდა ავტორიზაციის ვიზიტის ექსპერტებისთვის ვალიდური, ხოლო მონიტორინგის ჯგუფისთვის, ვიზიტის იმ ეტაპზე, დადებითი შეფასების საფუძველი არსებობდა. ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ ინდიკატორის შეფასება არის სრულად ვალიდური. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების პოზიციას და ინდიკატორების შეფასება 5.1.1. „პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას“

და 2.1.1 (3) „პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით“ რჩება უცვლელი - „არ შეესაბამება“. 5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება ინდიკატორი (2) დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - „არ შეესაბამება“.

პსდ-ს არგუმენტირებული პასუხი/პოზიცია: „ექთანს კვალიფიკაცია და პრაქტიკოსი ექთნის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ის წლების განმავლობაში მუშაობდა ექთნის თანამდებობაზე. ასევე, სტანდარტი არ ითხოვს პირველადი დახმარების აღმოჩენის გაწევის ან პროფესიული კვალიფიკაციის ამადლების შესახებ სპეციალური კურსი/ტრენინგის გავლის აუცილებლობას. სამედიცინო კარადაში ნამდვილად არის მხოლოდ პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო საშუალებები.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია/დასაბუთება: ინდიკატორის უარყოფითი შეფასება განაპირობა პირველადი საშუალებების არ ქონამ (იხ. თანდართული ფოტოები), ადგილზე, ასევე ვიზიტის დროს არ ყოფილა უზრუნველყოფილი პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების პოზიციას საკითხის განსხვავებული შეფასებების შესახებ. მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის მაისში, სხვა მისამართსა და შენობაში. მონიტორინგის ჯგუფმა შეაფასა სხვა გარემოება, სადაც სავარაუდოდ იყო წარმოდგენილი აუცილებელი პირველადი საშუალებები, მოწყობილი იყო შესაბამისი გარემო. ამასთან, დასკვნაში მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი საუბრობს ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირზე, ხოლო განმეორებითი ავტორიზაციის დროს წარმოდგენილი იყო პირველი სამედიცინო სასწავლებლის მიერ 1978 წელს გაცემული დიპლომი და პირის კვალიფიკაციის ან გამოცდილების დამადასტურებელი სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (ცნობა, სერტიფიკატები) არ ყოფილა პირად საქმეში. გარდა ამისა, 3 დღის განმავლობაში არ ყოფილა უზრუნველყოფილი პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელ პირთან შეხვედრა, რაც დაგეგმილი იყო ვიზიტის დღის წესრიგით (შეხვედრა დაგეგმილი იყო 2025 წლის 14 იანვარს) და გადაგზავნილი და შეთანხმებული იყო წინასწარ დაწესებულებასთან. შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება 5.1.2.(2) რჩება უცვლელი - „არ შეესაბამება“.

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას ინდიკატორი (1) - პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს - „არ შეესაბამება“.

პსდ-ს არგუმენტირებული პასუხი/პოზიცია : „ინდიკატორის შეფასებას არ ვეთანხმებით შემდეგი გარემოების გამო: ამ ინდიკატორით მოწმდება მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები; კომპიუტერული ტექნიკის სიმძლავრე, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი; IT ვირუსისგან დამცავი სისტემა; უკაბლო ინტერნეტი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია/დასაბუთება: სსიპ განათლების ხარისხის ცენტრის მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით ავტორიზაციის სტანდარტების დეტალური განმარტებები“-ს თანახმად, რომლითაც ხელმძღვანელობს ყველა დაინტერესებული მხარე, აღნიშნულ ინდიკატორთან არსებული განმარტება ამბობს შემდეგს: „დაწესებულებას უნდა გააჩნდეს სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. აღჭურვილი უნდა იყოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისთვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით“.

ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი პსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებულ პოზიციასთან თანდართული დოკუმენტი - „ჩუქების ხელშეკრულება,, (დოკუმენტის გაფორმების თარიღი: 30. 08. 2024), რომელიც მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი თარიღისაა. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, კომპიუტერების პსდ-ს მიერ განკარგვა/ფლობას მოიცავდა ყოფილი შენობის იჯარის ხელშეკრულება, რაც ვერ იქნებოდა ავტორიზაციის ვიზიტის ექსპერტებისთვის ვალიდური. ამასთან პსდ-ს ინდიკატორის განსხვავებულ შეფასებასთან დაკავშირებით (მონიტორინგის ჯგუფის შეფასება პოზიტიურია), დაწესებულების წამომადგენლებს კვლავ შევახსენებთ, რომ ექსპერტთა ჯგუფებმა შეაფასეს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემო და გარემოებები, ამასთან, შესაძლოა სხვადასხვა დოკუმენტები და რესურსი. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება განახორციელა სხვა მისამართსა და სამუშაო-სასწავლო სივრცეებში. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების პოზიციას- ინდიკატორის შეფასება რჩება უცვლელი - „არ შეესაბამება“.

5.2.3. პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას ინდიკატორი (1) პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს - „არ შეესაბამება“.

პსდ-ს არგუმენტირებული პასუხი/პოზიცია: „კოლეჯის ადმინისტრაცია შეხვდა დაინტერესებულ მხარეებს (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პერსონალი) ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე და გააცნო ავტორიზაციის ამოწურვის დრო. აუხსნა მათ ვადის ამოწურვის გამო მოსალოდნელი შედეგები. 2025 წლის 17 იანვარს (ხოლო 19 იანვარს დამატებით), ყველა პროფესიულ სტუდენტს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა წერილი ავტორიზაციის ვადის ამოწურვის შესახებ, მოსალოდნელი შედეგებისა და მათი უფლებების შესახებ. მიგნებების გამოცხადების დროს ექსპერტებს ამ საკითხის ირგვლივ ამომწურავის ინფორმაცია მიაწოდა ხარისხი მენეჯერმა. კოლეჯს შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი; დადებული აქვს დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება; ვებგვერდი ქართულ ენაზეა, მარტივია ნავიგაცია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება, კოლეჯის სოციალური გვერდი აქტიურია. (იხილეთ ლინკი <https://www.facebook.com/share/1ECgWAABV8/>)“. ვებ-გვერდზე და სოც. ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, ვებგვერდის საშუალებით პროფესიულ სტუდენტს შუძლია გაეცნოს პროფესიული პროგრამების კატალოგს, ასევე კოლეჯის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმასა და წლიურ სამოქმედო გეგმებს, კოლეჯის წლიური ანგარიშების, კოლეჯის სტრუქტურას, პროგრამის სახელწოდებებსა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესებს, მობილობის უფლებასა და წესს. ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია მხარდამჭერი სერვისების თაობაზე, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ და სხვა. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნულ საკითხების შეფასებაზე არ უმსჯელიათ ექსპერტებს დასკვნის პროექტში (არც მიგნებებში ყოფილა საუბარი). ამიტომ არ ეთანხმებიან ექსპერტების შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია/დასაბუთება: მიუხედავად, შიდა რეგულაციით განსაზღვრული საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკისა, რომ ვებ-გვერდი არის ინფორმაციის მასობრივი გავრცელების მთავარი საშუალება და მასზე „წარმოდგენილია საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნული ინფორმაცია და დროული სიახლეები“ (პ.7.2), ინფორმაციის განთავსება არც თუ ისე ინტენსიურია. მათი განთავსების ვადები/პერიოდი შემდეგია: 10.01.2025 განთავსდა ვაკანსია პსდ-ს პროფორიენტაციის, კარიერის დაგეგმვის და სტუდენტური მხარდაჭერის მენეჯერის პოზიციაზე; 24.10.2024 - განთავსდა

ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შეფასების ახალ რეგულაციების გაცნობის მიზნით ორგანიზებული შეხვედრის შესახებ; 02.09.2024 - განთავსებული ინფორმაცია ეხება 2024-2025 წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებას. განმეორებითი ავტორიზაციის დროს, ინდიკატორის შეფასების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ავტორიზაციის ვადის გასვლა და დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის დროულად არ მიწოდება. ასევე უფუნქციო სოციალური ქსელები. პსდ-ს მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან თანდართული დოკუმენტაციით ჩანს, რომ გაგზავნილი კორესპონდენცია თარიღდება 2025 წლის 17 და 19 იანვრით. ავტორიზაციის ვადა განსაზღვრული იყო 2025 წლის 17 იანვრით, ასევე შეხვედრების თარიღები. შესაბამისად პსდ-ს მიერ მიწოდებული ინფორმაცია/ქმედება ვერ იქნება განხილული გონივრული ვადების ფარგლებში. დაწესებულების მიერ, 03.03.2025 განთავსებული ინფორმაცია - „17.01.2025 წელს შ.პ.ს. „ავიკენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს გაუვიდა ავტორიზაციის ვადა. ამჟამად კოლეჯი იმყოფება რეავტორიზაციის პროცესში.“ - კვლავაც შეცდომაში შემყვანია, რადგან კოლეჯის დაინტერესებულ მხარეებს აწვდის ინფორმაციას, რომ იმყოფება რეავტორიზაციის პროცესში. ფაქტობრივად კი, პსდ ავტორიზაციის რეჟიმშია, რადგან მას გაუუქმდა ავტორიზებული დაწესებულების სტატუსი 17.01.2025 წელს, ხოლო ინფორმაცია განთავსებულია 03.03.2025 წელს.

წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, დაწესებულება მიუთითებს სოციალური ქსელის გვერდის მისამართს <https://www.facebook.com/avecollege>, რომელიც ექსპერტების მიერ არ შემოწმებულა. წერილის თანახმად, დაწესებულებას ფაქტობრივად 2 გვერდი აქვს. ექსპერტთა მიერ შეფასდა ის გვერდი, რომელზე გადასვლაც შესაძლებელია დაწესებულების ოფიციალური ვებ გვერდიდან <https://avicenna.edu.ge/>. ამ სოციალური ქსელის გვერდის მდგომარეობა დღესაც (21.03.2025) იგივეა (<https://www.facebook.com/avecollege/> იხ. ასევე თანდართული ფოტოები („სკრინები“), ხოლო დაწესებულების მხრიდან არ ყოფილა ექსპერტებისთვის მიწოდებული ინფორმაცია თუ რომელი გვერდი იყო აქტიური და რელევანტური.

დაწესებულებას აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით არგუმენტად მოაქვს ის ფაქტი, რომ კორესპონდენცია დააგზავნა, ასევე მოაწყო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, თუმცა აღნიშნული შეფასებები ეხება სოციალურ ქსელებსა და ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებას, და არა დაინტერესებულ მხარეებთან პირისპირ კომუნიკაციას. ამასთან, ამ შემთხვევაშიც ვერ იქნება პსდ-ს მხრიდან შენიშვნა-პოზიცია მისაღები, რომ ექსპერტთა ჯგუფების შეფასებები განსხვავებულია, რადგან შეფასება განხორციელდა სხვადასხვა გარემოებების/პროცესების, მ.შ. ზემოთ აღნიშნულის თანხლებით, სხვადასხვა დროს, შესაბამისად სხვადასხვაა შეფასების შედეგებიც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მონტორინგის ჯგუფის მიერ გაცემულია რეკომენდაცია „რეკომენდებულია დაწესებულებამ დროულად ასახოს ინფორმაცია ვებგვერდზე, მათ შორის შიდა მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილება, პერსონალის შემადგენლობის განახლების თაობაზე ინფორმაცია და სხვ“, რაზეც პსდ- არ აკეთებს აქცენტს. ფაქტობრივად კი, აღნიშნული რეკომენდაციით, ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელებში არსებული გვერდების დათვალიერებით, დასტურდება, დაწესებულების მიერ ვებ გვერდის და სოციალური ქსელის მართვის მიდგომა. ამასთან სამი დღის განმავლობაში არ ყოფილა უზრუნველყოფილი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან შეხვედრა, რაც დაგეგმილი იყო დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგით (შეხვედრა დაგეგმილი იყო 2025 წლის 14 იანვარს) და გადაგზავნილი წინასწარ დაწესებულებასთან. აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა შეფასება. შესაბამისად ესქეპერტები არ ეთანხმებიან დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორის შეფასება რჩება უცვლელი - „არ შეესაბამება“. 2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება 2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად ინდიკატორი (3) პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - „არ შეესაბამება“.

პსდ-ს არგუმენტირებული პასუხი/პოზიცია: - „მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება სრულიად განსხვავებულია ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებისგან. კოლეჯმა პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისათვის გამოიყენა კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლი. პროფესიულ პროგრამაში არ არის რაიმე დათქმა სპეციფიკური და განსაკუთრებული პირობების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან და მათთან ერთად (პარტნიორი ორგანიზაციები ჩართულნი არიან პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში) ახორციელებს ძირითად პრაქტიკულ კომპონენტებს (გაცნობითი პრაქტიკა-ბუღალტრული აღრიცხვა და პრაქტიკული პროექტი-ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება) კოლეჯის ბაზაზე. დარგის ექსპერტი არსად ახსენებს, იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ კოლეჯს აქვს ცალკე A გარემოსთვის განკუთვნილი აუდიტორიები, სადაც კოლეჯი ახორციელებს თეორიული სასწავლო კურსებს (უცხო ენა, მეწარმეობა, ინფორმაციული წიგნიერება, ინვენტარიზაცია, მმართველობითი აღრიცხვა, ბიზნეს ინგლისური, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები). პროგრამაში არ არის რაიმე სახის განსაკუთრებული და სპეციფიკური პირობების შესახებ. დასკვნის პროექტში დარგის ექსპერტი აღნიშნავს, რომ 2.2.1. კომპონენტის შეფასებისას “შესაბამისად შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - A/B სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია 22 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1 მონიტორი; ამავე აუდიტორიაში განთავსებულია 22 პერსონალური კომპიუტერი (15 პერსონალური კომპიუტერი და 7 ლეპტოპი) პროფესიული სტუდენტებისთვის. კომპიუტერებში ჩატვირთულია ბუღალტრული პროგრამის „Oris“ დემო ვერსია. ფაქტობრივად განთავსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა იძლევა კვდით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურების შესაძლებლობას“. ექსპერტები ხშირად იყენებენ კომპონენტის შეფასებისას “ფაქტობრივი გარემოებები”, და 2.2.1 კომპონენტის გარდა არსად არ არის აღწერილი რა ფაქტობრივ გარემოებებს ეყრდნობიან ექსპერტები. არც დანართი არ ახლავს დასკვნის პროექტს, რომ კოლეჯი გაცნობოდა. იხილეთ დანართი #6 (კოლეჯის მფლობელობაში არსებული 7 (შვიდი) ლეპტოპის შესახებ). ასევე ანალოგიური შენიშვნა და ფაქტობრივად იგივე პოზიციაა 2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია/დასაბუთება: - აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება შენიშვნას გამოთქვამს ექსპერტთა ჯგუფებზე და ვიზიტის მიზნებზე, ასევე „მოკლე დროის შუალედში“ (სულ მცირე 7 თვე: მონიტორინგი განხორციელდა 2024 წლის 30 და 31 მაისს) რადიკალურად განსხვავებულ შეფასებებსა და არაერთგვაროვან აღქმაზე, რაზეც ექსპერტებმა უკვე მოახსენეს საბჭოს, რომ „დარგის სპეციალისტების მიერ ერთი და იგივე სტანდარტის შეფასებები მოკლე დროის შუალედში რადიკალურად განსხვავებულია“ (სულ მცირე 7 თვე: მონიტორინგი განხორციელდა 2024 წლის 30 და 31 მაისს), თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ ექსპერტების მიერ განხორციელდა სხვადასხვა მისამართებზე, სხვადასხვა სასწავლო გარემოს შეფასება! ამასთან დაწესებულება შეფასებას არ განიხილავს სრული კონტექსტით, არამედ ფრაგმენტულად მოჰყავს შეფასებები.

„ფაქტობრივად განთავსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურების შესაძლებლობას“, თუმცა ექსპერტთა შეფასების ნაწილი ასევე მოიცავს ჩანაწერს, რომ პსდ-მ იურიდიულად ვერ დაადასტურა ვიზიტის დროს აუდიტორიაში განთავსებული აღჭურვილობის ფლობა სრულად (კომპიუტერების ფლობის შესახებ ექსპერტთა პოზიცია იხ. ზემოთ). რაც შეეხება, პროგრამისთვის გამოყოფილ დამატებით აუდიტორიებს, თავდაპირველად ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა „ბუღალტრული აღრიცხვის „პროგრამის მიზნებისთვის აღნიშნული აუდიტორიები, თუმცა შემდეგ თავად დაწესებულებამ მიიღო ვიზიტის დროს გადაწყვეტილება, რომ პროგრამა განხორციელდებოდა მხოლოდ პირველ სართულზე მდებარე სივრცეში, შესაბამისად, ექსპერტების მიერ, პროგრამის მიზნებისთვის შეფასდა დაწესებულებაში პირველ სართულზე მდებარე სივრცე სადაც მოწყობილია A/B გარემო და ასევე, პსდ-ს წარმომადგენლის განმარტებით ამავე სივრცეში იქნება უზრუნველყოფილი C გარემო. შესაბამისად შეფასება არის ვალიდური. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს პსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორის 2.1.1. შეფასება რჩება უცვლელი - „არ შეესაბამება“.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით ინდიკატორი (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პსდ-ს არგუმენტირებული პასუხი/პოზიცია: - „მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება სრულიად განსხვავებულია ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებისგან. დარგის ექსპერტი 2.2.1.1 კომპონენტში აღწერს ფაქტობრივ გარემოებებს პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესახებ. „დასკვნის პროექტში დარგის ექსპერტი აღნიშნავს, რომ 2.2.1.1 კომპონენტის შეფასებისას “ შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - A/B სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია 22 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1 მონიტორი; ამავე აუდიტორიაში განთავსებულია 22 პერსონალური კომპიუტერი (15 პერსონალური კომპიუტერი და 7 ლეპტოპი) პროფესიული სტუდენტებისთვის. კომპიუტერებში ჩატვირთულია ბუღალტრული პროგრამის „Oris“ დემო ვერსია. ფაქტობრივად განთავსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურების შესაძლებლობას“. იხილეთ დანართი #6 (კოლეჯის მფლობელობაში არსებული 7 (შვიდი) ლეპტოპის შესახებ)“.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი/დასაბუთება: - შეფასებისას ექსპერტები ვალდებულები იყვნენ ეხელმძღვანელათ არა ფაქტობრივად განთავსებული მატერიალური რესურსით, არამედ ამ რესურსის კანონიერი ფლობის/განკარგვის დოკუმენტაციით. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება არის ვალიდური და არ იზიარებს დაწესებულების პოზიციას. შეფასება რჩება უცვლელი - „არ შეესაბამება“.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით ინდიკატორი (3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია 2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის

შედეგების დადასტურებას ინდიკატორი (1) პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური (აღნიშნული ინდიკატორებთან შეუსაბამობა დაფიქსირდა ორივე საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით).

პსდ-ს არგუმენტირებული პასუხი/პოზიცია: - დარგის ექსპერტმა რომელი მოდულის ფარგლებში შეისწავლა განმსაზღვრელი შეფასებების/მტკიცებულებების/შეფასების ინსტრუმენტი, არ აკონკრეტებს. თუ პროექტში წარმოდგენილი იქნებოდა განმსაზღვრელი შეფასებების/მტკიცებულებების/შეფასების ინსტრუმენტი რომელიმე მოდულის, რომელი შედეგის შესახებ იმსჯელა ექსპერტმა რასაკვირველია კოლეჯი იმსჯელებდა ხარვეზზე. ასე მტკიცებულებების გარეშე გადაწყვიტო, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილი განმსაზღვრელი შეფასებების მტკიცებულებების/შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე, ექსპერტთა მიერ, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. მიგვაჩნია რომ ექსპერტის შეფასება არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი/დასაბუთება: - აღნიშნული ინდიკატორი უარყოფითად შეფასდა ორივე საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. დაწესებულებას, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასების პარალელურად მოჰყავს მონიტორინგის ექსპერტთა შეფასებაც, სადაც ექსპერტები აღწერენ, რომ შეფასების ინსტრუმენტები ფასდება ვალიდაციის ჯგუფის მიერ და გასცემს რეკომენდაციას „რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ“. ორივე პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებმა (ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის 3 მასწავლებელი, მ.შ. პროგრამის ხელმძღვანელთან შედგა მხოლოდ სატელეფონო საუბარი) და „საექთნო საქმე“ პროფესიული განათლების 4 მასწავლებელი), აღნიშნეს, რომ კოლეჯში ვალიდაცია არ ხდება, არ განიხილავენ ერთმანეთის შეფასების ინსტრუმენტებს. არ ყოფილა ასევე მატერიალური სახით წარმოდგენილი ვალიდაციის პროცესის რაიმე სახის მტკიცებულებები, ხოლო ვერიფიკაციის პრაქტიკა ჯერ არ აქვს დაწესებულებას. ინდიკატორი უარყოფითად შეფასდა ასევე საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ფარგლებში. პსდ-ს არ ეთანხმება შეფასებას და ამასთან არგუმენტად ასახელებს ასევე იმ ფაქტს, რომ კოლეჯმა 2022 წლის 26 აპრილს დაიმატა პროგრამა, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა მიღება 2024 წელს განახორციელა. დაწესებულება მიუთითებს ექსპერტებს, გაეცნონ აღნიშნული წარმოების შესახებ გადაწყვეტილებასა და დასკვნას. სადაც ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „პროფესიული განათლების მასწავლებლების გარკვეულ ნაწილს აქვს მოდულური პროგრამებით სწავლების ან/და მოდულების შემუშავებაში მონაწილეობის გამოცდილება, პროგრამის განმახორციელებლთა ნაწილმა, გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აქვთ სწავლების და შეფასების გამოცდილება, თუმცა მოდულური პროგრამების სპეციფიკას არ იცნობენ. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა 2022 წლის მაისი-სექტემბრის პერიოდში“.

საექთნო განათლების პროგრამის დამატების ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 17 და 18 მარტს. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულების საქმიანობის მიდგომაა, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა არა შეფასებამდე (ვიზიტებამდე), არამედ შეფასების (ვიზიტების) შემდეგ. შეფასების კომპეტენციებთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემულია ასევე, მონიტორინგის ჯგუფის მიერ. ამასთან არც განხორციელებული ღონისძიებების მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილია გარდა ვებ გვერდზე განთავსებული 2 ფოტოსი (ღონისძიების თარიღები: 09.07.2024; 24.10.2024), ამასთან ფოტოებზე არ არის წარმოდგენილობითი განმახორციელებელი/პირების ან/და მასწავლებლების კორპუსი. ვიზიტის დროს განხილული იქნა ასევე საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასებების მტკიცებულებების/შეფასების ინსტრუმენტები

(წარმოდგენილი იყო 2 ბაინდერი). დარგის და განათლების ექსპერტების მიერ, ინსტრუმენტები შეფასდა არა ვალიდურად. გამოვლენილი შეუსაბამობები სისტემურია და ვრცელდება ორივე პროგრამის შეფასების ინსტრუმენტებზე. წერილობითი გამოკითხვის შეფასების ინსტრუმენტებში დაფიქსირდა რიგი შეუსაბამობები, ფაქტობრივად ერთნაირი სირთულის ტესტურ კითხვებზე, სხვადასხვა რაოდენობის შემთხვევაში დათმობილი იყო არა ადეკვატური დრო, მაგ.: 4, 5 და 11 კითხვისგან შემდგარი ტესტისთვის/შეფასების ინსტრუმენტისთვის ერთნაირად იყო დათმობილი დრო (1 საათი), ხოლო იმავე ტიპის ტესტური დავალებებისთვის, 6 ღია კითხვისთვის დათმობილია 3 საათი. „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები ასევე მოიცავდა წერილობით პრაქტიკულ დავალებებს, რომლებიც იმდენად მარტივი იყო, რომ ფაქტობრივად კითხვას წარმოადგენდა და ნაკლებად უზრუნველყოფდა პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული (კოგნიტური) უნარის დემონსტრირებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები არ იზიარებენ დაწესებულების პოზიციას და ინდიკატორების შეფასება რჩება უცვლელი - „არ შეესაბამება“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან „საექთნო განათლება“ დაკავშირებით სხვა ინდიკატორებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე:

2.2.2 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით
ინდიკატორი (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით -არ შეესაბამება. **ინდიკატორი (2)** პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პსდ-ს არგუმენტირებული პასუხი/პოზიცია: „კოლეჯი არ ეთანხმება შეფასებას - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულება არ არის ვადაგასული. ხელშეკრულების ვადა იწურება 2025 წლის მაისში. ვადის ამოწურვისთანავე გაგრძელდება ხელშეკრულება. კლინიკური სწავლებისათვის ხელშეკრულება იდება კლინიკის ხელმძღვანელობასთან და არა კონკრეტულ პიროვნებასთან. კლინიკის ხელმძღვანელი იღებს ვალდებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოს ის თანამშრომლები, რომლებიც აკმაყოფილებენ ხელშეკრულების პირობებს“.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი/დასაბუთება: - ექსპერტთა ჯგუფი იღებს დაწესებულების მხრიდან შენიშვნას, დასკვნაში შეფასებისას ვადების არასწორად გადმოცემის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის/კლინიკური სწავლების მიზნით გაფორმებული ფაქტობრივად ყველა ხელშეკრულების ვადა იწურება 2025 წელს. კონკრეტულად კი შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა იწურება არა მაისში, როგორც პსდ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნავს, არამედ 15.08.2025 წელს. ამასთან დავძენთ, რომ პსდ-ს პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული, რადგან, ხელშეკრულებებში მითითებული მოქმედების ვადები ვერ იძლევა გარანტიას, რომ პროგრამის განხორციელების პერიოდით (დაწესებულებას ავტორიზაცია ენიჭება მომდევნო 6 წლის განმავლობაში, რომლის პერიოდშიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამების განხორციელება სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსების არსებობის პირობებში, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი) იქნება შესაძლებელი ხელშეკრულების ფარგლებში იდენტიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების/მოდულების განხორციელება უზრუნველყოფილი. ხელშეკრულებებს არ ახლავს რესურსების ჩამონათვალი, რასაც პრაქტიკის ობიექტები

გამოყოფენ პსდ-ს პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე, არ ჩანს განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. დარგის ექსპერტმა, პრაქტიკის ობიექტების შეფასებისას (ვიზიტი განხორციელდა 3 კლინიკაში), ვერ მიიღო სათანადო ინფორმაცია, ინდიკატორის/საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად. დაწესებულების მიერ შერჩეული პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები ვერ აკმაყოფილებელ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაო დაფუძნებული სწავლების ფორმის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. ამასთან, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია, დაადგინოს, შერჩეული სუბიექტების მიერ, ამ რეგულაციის პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი, ხოლო რეგულაციით ერთ-ერთი კრიტერიუმია, ადამიანური და მატერიალური რესურსის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან (მუხლი 5, პ.3 „ბ“). აღნიშნული საკითხების შეფასება, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე ორიენტირებული სუბიექტების მიერ, უნდა ხდებოდეს დასაწყისშივე, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისას და შემდგომ, პროცესის წინ და პროცესში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დადგენილი პერიოდულობით. ასევე, კოლეჯის მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის კვოტის შესაბამისი განსაზღვრული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია მოდულისთვის „საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში“ ასევე არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი (პროგრამის ფარგლებში ზიარდება „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის A/B/C გარემო).

პსდ-ს არგუმენტაციით, „კლინიკის ხელმძღვანელი იღებს ვალდებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოს ის თანამშრომლები, რომლებიც აკმაყოფილებენ ხელშეკრულების პირობებს“ და რომ „კლინიკური სწავლებისათვის ხელშეკრულება იდება კლინიკის ხელმძღვანელობასთან და არა კონკრეტულ პიროვნებასთან“, ვერ იქნება მისაღები ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რადგან დაწესებულება იღებს პროფესიულ სტუდენტებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ვალდებულებას, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შესაბამისი რესურსით, შესაბამისად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ის კრიტერიუმები, თუ რა კომპეტენციის პირები უნდა იყვნენ შერჩეული და ჩართული მათ შერჩევა-შეფასებაში ან მინიმუმ გამოითხოვს საჭირო ინფორმაცია და ინახავდეს მათი კომპეტენციის შესახებ დოკუმენტირებულ ინფორმაციას. დაწესებულება უნდა ამოწმებდეს ყველა ჩართულ რგოლს, პირს, სერვისს, რომელსაც იყენებს საგანმანათლებლო პროცესში და რომელიც გავლენას ახდენს მისი საქმიანობის საბოლოო პროდუქტზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები არ იზიარებენ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორების შეფასება რჩება უცვლელი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მანანა მახარაშვილმა და ექსპერტმა ნანა მონიავამ დეტალურად განიხილეს I, III, IV და V სტანდარტები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორი 1. - პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - **არ შეესაბამება**. პსდ-ს დოკუმენტაციის, პერსონალთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით დაგინდება, რომ დაწესებულება არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგს, ხოლო სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი/ანგარიში არასრულყოფილია. თუმცა სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია მეთოდოლოგიის შემუშავებამდე, მაგრამ პსდ-ს მეთოდოლოგია, მოქმედი დოკუმენტია, შესაბამისად დაწესებულება ვალდებულია შეასრულოს შიდა დოკუმენტაციით

განსაზღვრული წესები (მეთოდოლოგიაში არაა დათქმა/პუნქტი დოკუმენტის ამოქმედების ვადების ან მოქმედების განსაკუთრებული პირობების შესახებ). შესაბამისად, პსდ-ს მიერ არაა დაცული მეთოდოლოგიით დადგენილი მონიტორინგის სიხშირე. დაწესებულების მიერ არ მომხდარა დაინტერესებული მხარის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინება (სტრატეგიული გეგმის გადახედვის შესახებ). არაა წარმოდგენილი ანგარიშებში დასაბუთება, დაინტერესებული მხარის რეკომენდაციების არ გაზიარების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პსდ არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

ინდიკატორი 2.- პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე - **არ შეესაბამება**. პსდ-ს სამოქმედო გეგმების (2022- 2024 წწ) ანგარიშების განხილვის საფუძველზე დასტურდება რომ, დაწესებულებას არ განუხორციელებია გეგმების ანალიზი ან/და კორექტირება. სამოქმედო გეგმის აბსოლუტური უმრავლესობა არ შესრულებულა, ამასთან გეგმები ფაქტობრივად ანალოგიური შინაარსისაა. მეთოდოლოგიის თანახმად, მონიტორინგის შედეგების ანალიზი გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალი სამოქმედო გეგმის შედგენისას, თუმცა დაწესებულების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი მსგავსი ანალიზის ან სხვა დოკუმენტი, სადაც შესაბამისი ინფორმაცია/ანალიზი იქნებოდა ასახული. პსდ-ს მიერ ასევე არ ყოფილა გათვალისწინებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ექსპერტთა შეფასების შედეგები/რეკომენდაციები გათვალისწინებული - წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - დაწესებულება არ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორი 1. - პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა - **არ შეესაბამება**.

დირექტორის 2024 წლის 8 ივნისის №7746 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიციენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი“-თ გაწერილია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან „სწავლის შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმების სპეციფიკა. დაწესებულების რეგულაციით დადგენილი მოთხოვნები შესაბამისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებისა - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“, თუმცა წესისგან განსხვავებული პრაქტიკას ჰქონდა ადგილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ: 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან (დაბადების თარიღი 29.05.2007 წ.), ნაცვლად მისი კანონიერი წარმომადგენლისა, ხელშეკრულება გაფორმებულია თავად სტუდენტთან (გაფორმების თარიღი 22.11.2024 წ.). დაწესებულების მიერ, ვიზიტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის მიერ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების დოკუმენტზე ხელმოწერა. 2. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც პროფესიულ პროგრამაზე ტესტირება გავლილი აქვს მშობლიურ (აზერბაიჯანულ) ენაზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა დაწყებული აქვს ქართული ენის მოდულის გავლის ან მისი ფლობის დადასტურების გარეშე (დაწესებულების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი ქართული ენის დადასტურების შესაბამისი დოკუმენტები). პროფესიულ სტუდენტთან, ექსპერტების მიერ, განხორციელდა სატელეფონო საუბარი, რომლის დროსაც, სტუდენტმა ქართულ ენაზე შეძლო მხოლოდ მარტივ დონეზე კომუნიკაცია, ნებისმიერ კითხვას (გარდა „რა გქვია?“ „სად სწავლობ?“) სჭირდებოდა რამდენჯერმე სხვადასხვა ფორმით დასმა, თუმცა პასუხი შესაბამისი მაინც არ იყო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 28-ე მუხლის 1 „ბ“ პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე, „დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით“. აღნიშნული გარემოებების მიმართ, როგორც დამდგარი ფაქტი, ექსპერტთა მიერ შეფასება არ შეცვლილა, ერთი მხრივ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ფაქტი უკვე დამდგარი იყო, ხოლო მეორე მხრივ, დაწესებულების მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი აღნიშნული გარემოებების გამომწვევი მიზეზის ანალიზისა და კონკრეტულად მისი მართვის/კორექციის მტკიცებულება. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პსდ-ს შიდა რეგულაციებით არ არის უზრუნველყოფილი კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი 4. - პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა - **არ შეესაბამება**. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, არასრულწლოვან პირთან დარღვეულია ხელშეკრულების გაფორმების თავისებურებების მოთხოვნები, კერძოდ, არასრულწლოვან პირთან გაფორმებულია ხელშეკრულება უშუალოდ მასთან და არა კანონიერ წარმომადგენლთან. მიუხედავად ვიზიტის დროს, ხელშეკრულებაზე კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერისა, ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით არ არის დაცული პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის არაა გათვალისწინებული არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორი 4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება გაუმჯობესებს მომსახურების ხარისხს - დაწესებულება „კარიერისა და პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“-ს თანახმად არ ახორციელებს დაგეგმილი კარიერული მომსახურების კვლევებს, შესაბამისად უკუკავშირის საფუძველზე არ ხდება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება/გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა - პსდ-ს მიერ, გამოკითხვის შედეგების შესაბამისად, მათი გაუმჯობესების ამსახველი შესაბამისი მტკიცებულებები/ღონისძიებათა გეგმა ვიზიტის დროს წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება არ აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

4. ადამიანური რესურსები

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ინდიკატორი 1. - პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად - **არ შეესაბამება**. პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული დებულებები საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისია, მაგრამ შიდა რეგულაციების შესაბამისი არაა პსდ-ს პრაქტიკა ადამიანური რესურსის მართვისას, მაგ. არ ყოფილა რეგულაციების შესაბამისი დოკუმენტაცია პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებით. შერჩევის სპეციფიკის (კონკურსი/გასაუბრება) შესაბამისობა არ დასტურდება პერსონალის შერჩევის/დანიშვნის შესახებ გამოცემულ დოკუმენტებშიც (კონკურსის/გასაუბრების კომისიების გადაწყვეტილებები). ასევე დარღვეულია შრომითი ხელშეკრულების არსებითი

პირობების მოთხოვნები (მაგ. არასწორი ინფორმაცია სამუშაო ადგილთან დაკავშირებით, მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა და სხვა). დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა ასევე საკანონმდებლო მოთხოვნებისა და შინაგანაწესის ნორმებისგან გადახრა, პერსონალის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ინდიკატორთან მონიტორინგის დროს ექსპერტების მიერ გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია, რაც არ ყოფილა გათვალისწინებული/შესრულებული. პერსონალის შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით, სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვა შინაარსის დებულებებია. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე;

ინდიკატორი (1) - პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას - **არ შეესაბამება**. პსდ-ს „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მიზანია პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების, პროფესიული შესაძლებლობების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის, ასევე პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა და მის საფუძველზე პერსონალის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების და დაწესებულების ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით, მონიტორინგის ვიზიტის დროს გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, თუმცა პსდ-ს მიერ, შიდა პოლიტიკის გატარების, ასევე ინდიკატორთან ან/და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით, მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა განმეორებითი ავტორიზაციის ვიზიტის დროს. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - დაწესებულება არ ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

ინდიკატორი 2.- პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით - **არ შეესაბამება**. აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით პსდ-ს მიერ კონკრეტული გეგმა წარმოდგენილი არ ყოფილა. თუმცა პსდ-ს სამოქმედო გეგმებით, მათ შორის 2025 წლის სამოქმედო გეგმა (მოიცავს პერიოდს იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით), განსაზღვრულია, „ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა“ სტრატეგიული მიზნის (მიზანი 2) ამოცანა „კვლევის შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი მასტერკლასების, „ვორკ-შოპების“, ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვაგამართვა“, განსაზღვრულია ზოგადი შინაარსის რესურსი „ადამიანური და ფინანსური რესურსი“. აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით მონიტორინგის ვიზიტის დროს, პსდ-ს დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, რომლის შესრულების ვადად განისაზღვრა 6 თვე. დაწესებულების მიერ დაგეგმილი ღონისძიების განხორციელების მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პერსონალის განვითარება არ ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

ინდიკატორი 1. - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით - არ შეესაბამება. წესდებითა და სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, დაწესებულების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ხოშარაულის ქ. #30ა, კომერციული ფართი #7, სართული 2. ხოლო ფაქტობრივად ოპერირებს, მისამართზე: თბილისი, რაფიელ ერისთავის 25ა, (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.13.05.007.088) #1 შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 782,57 კვ. მ (უძრავი ქონების მფლობელია შპს „ჯი ეს ჯი“-ს (ს/კ 404515761) ქვეიჯარის ხელშეკრულება 15.09.2024, მოქმედების ვადა 15.09.2030). ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. ფაქტობრივ მისამართზე დაწესებულების მფლობელობაშია 2 სართული (I სართული - 313, 75 კვ. მ და II სართული - 468, 83 კვ. მ), რომელშიც მოწყობილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და ადმინისტრირებისთვის საჭირო რესურსით, თუმცა მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია პსდ-ს მიერ სრულად არ ყოფილა წარმოდგენილი. ამასთან, შენობა-ნაგებობის იჯარით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება, არაა ავტორიზაციის ვადით გაფორმებული. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - დაწესებულების საქმიანობა, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება;

ინდიკატორი 2. - დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - არ შეესაბამება. შემუშავებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, მოწყობილია კაბინეტი, თუმცა არაა წარმოდგენილი პირველადი დახმარების საშუალებები (ბინტი, ბამბა, იოდი, ლახტი და ა.შ.) ან მისი შესყიდვის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი/დოკუმენტები. ასევე ექთნის პოზიციაზე შერჩეულ პირს არ აქვს პირველადი დახმარების აღმოჩენის გაწევის ან პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ სპეციალური კურსი/ტრენინგი. ვიზიტის დროს გასაუბრება ვერ შედგა პირველად გადაუდებელ დახმარებისთვის შერჩეულ პირთან. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერებისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - დაწესებულებაში არ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

ინდიკატორი 1. - პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს - არ შეესაბამება. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პსდ- IT ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა. ასევე რესურსის ფლობის დოკუმენტები. პსდ-მ ვერ წამოადგინა დაწესებულებაში განთავსებული ყველა კომპიუტერის ფლობის დოკუმენტაცია. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ინდიკატორი 1 - პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი - არ შეესაბამება. პსდ-ში გაწერილი დოკუმენტების წარმოების წესები არ ეწინააღმდეგება საქმისწარმოების ერთიან წესებს, თუმცა მათი წარმოებისა და დოკუმენტბრუნვისას ფიქსირდება შეუსაბამობები. ბრძანებების გამოცემის თარიღების ანალიზით, დასტურდება, რომ მათი გამოცემა ხდება დაგვიანებით. მაგ. პროფესიული განათლების მასწავლებლების ტარიფიკაციის (ბრძანება #00000063 10.01.2025) და პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო ცხრილების (#00022356, 18.12. 2024) დამტკიცების შესახებ ბრძანებები, რომლებიც

გამოცემულია 2024 წლის დეკემბერსა და 2025 წლის იანვარში, მოიცავენ და არეგულირებენ მათ გამოცემამდე, 16.09.2024 წლიდან პერიოდის მართვას. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პსდ-ში არ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

ინდიკატორი 4 - პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან - **არ შეესაბამება**. ვიზიტის დროს გამოვლინდა მაკონტროლებელი ორგანოდან შემოსული კორესპონდენციის რეაგირების გარეშე დატოვების ფაქტი, ასევე „ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“-ში განხორციელებული ვადების ცვლილების შესახებ, რომელიც უშუალო კავშირში იყო მაკონტროლებელ ორგანოსთან, ცვლილებების შესახებ არ მომხდარა მისი ინფორმირება. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პსდ დროულად არ აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს, არ თანამშრომლობს მათთან. 5.2.3. პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას ინდიკატორი (1) პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს - არ შეესაბამება. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდს აქვს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქცია, თუმცა არ ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, ხოლო სოციალური ქსელების გვერდები, ფაქტობრივად უფუნქციოა. აღნიშნული ინდიკატორის შეფასებისას, ექსპერტებმა ასევე გაითვალისწინეს პსდ-ს განმეორებითი ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული გარემოებები, ავტორიზაციასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია არ იყო განთავსებული არც ექსპერტთა ვიზიტის დროს (ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13-15 იანვარს, ავტორიზაციის მოქმედების ვადა 17.01.2025) და ვიზიტის, მ.შ. ავტორიზაციის ვადის ამოწურვის შემდეგ. შესაბამისად, არ მომხდარა დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება, მით უფრო გონივრულ ვადებში (ბოლოს გადამოწმების თარიღი 09.02.2025). ინფორმაცია არ ყოფილა განთავსებული სოციალურ ქსელებში, რომლებიც ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი არ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და არ ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ინდიკატორი (3) - პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას -- არ შეესაბამება ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში დაწესებულების შესახებ განთავსებული ინფორმაცია არ არის შეცდომაში შემყვანი და ასახავს დაწესებულების საქმიანობის სხვადასხვა აქტივობებს, თუმცა, დაწესებულების მიერ არ ხდება ინფორმაციის დროული განთავსება. მაგ. ავტორიზაციის ვადის ამოწურვის შესახებ, პსდ-ს მიერ ინფორმაცია პროგრამებისა და ავტორიზაციის შესახებ არ განთავსებულა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგაც, რის ვალდებულებაც ჰქონდა დაწესებულებას, დაინტერესებული მხარეები (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პერსონალი) წინმსწრებად ყოფილიყვნენ ინფორმირებულები. შესაბამისად, დაწესებულების ვებ და სოციალური ქსელების გვერდების შესწავლისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პსდ ვერ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ინდიკატორი (6) - საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად - არ შეესაბამება.

დაწესებულების სოციალური ქსელების შესწავლით იკვეთება შემდეგი ფაქტობრივი გარემოება: სოციალური ქსელის გვერდები არაა აქტიური. „ფეისბუქ“-ის გვერდზე განთავსებულ სიახლეებთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირების მიერ 21.03.2019 წელს დასმული კითხვები, რეაგირების გარეშე დატოვებული მიმდინარე პერიოდამდე (ბოლო გადამოწმების თარიღი - 29.01.2025). შესაბამისად, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ არ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ამის შემდეგ დარგის ექსპერტებმა მედია ზურაბიშვილმა და თათია კაციტაძემ ისაუბრეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ („ბუღალტრული აღრიცხვა“, „საექტონო საქმე“). მათ წარადგინეს პრეზენტაციები და დეტალურად განიხილეს მე-2 სტანდარტის ინდიკატორები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ინდიკატორი (3) პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - დირექტორის 2024 წლის 8 ივლისის №7746 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-12 მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს დაწესებულებაში A, B, სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას, ასევე სასწავლო გარემოების ინტეგრირების ვარიანტებს. თუმცა, მეთოდოლოგიის თანახმად, ამოსავალი კრიტერიუმი, კვოტის განსაზღვრისას არის პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის სასწავლო გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა. პსდ-ს მიერ მოთხოვნილი კვოტაა 40 პროფესიული სტუდენტი. განმახორციელებელი პირების საერთო რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელს, საიდანაც 4 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირია. რადგან, პროგრამა ხორციელდება სრულად იმიტირებულად, დაწესებულებაში, ხოლო გამოყოფილი გარემო კონკრეტული პროგრამისთვის წარმოადგენს A, B და C (ამასთან, აღნიშნული გარემოში ხორციელდება საექტონო განათლების მოდული „საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექტონო საქმეში“), ხოლო დაწესებულების მიერ წარმოადგენილია 15 კომპიუტერის ფლობის დოკუმენტაცია, ანუ ფაქტობრივად მის მფლობელობაში 15 სამუშაო ადგილი. შესაბამისად, მოთხოვნილი კვოტის, პსდ-ს მეთოდოლოგიისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას არ განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. ინდიკატორი (4) . საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - პსდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის ფაქტობრივი ფლობის დოკუმენტაციისა და დაწესებულების მეთოდოლოგიის მოთხოვნების საფუძველზე ინდიკატორი არაა შესაბამისობაში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას (ასევე იხ. 2.1.1 (3) და 2.2.1 (1) ინდიკატორების შეფასება).

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით; ინდიკატორი (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა

უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული კვოტის შესაბამისი მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტი, შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ინდიკატორი (3) - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით, პირად საქმეებში წარმოდგენილი განათლების/კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილი განმსაზღვრელი შეფასებების მტკიცებულებების/შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე, ექსპერტთა მიერ, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არშეესაბამება“ - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს არ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენცია.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას;

ინდიკატორი (1) პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილი განმსაზღვრელი შეფასებების მტკიცებულებების/შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არშეესაბამება“ - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ბუღალტერიის დარგის ექსპერტის პრეზენტაციის პროცესში საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს ქალბატონ მედეა ზურაბიშვილს კითხვით ბიუჯეტთან დაკავშირებით, იყო თუ არა ეს კითხვები დაწესებულებასთან, ან იმ პირთან, ვინც პასუხისმგებელია ბიუჯეტზე, მიიღეს პასუხები, თუ მხოლოდ ამ ჩანაწერებით იხელმძღვანელებს.

მედეა ზურაბიშვილმა დამატებით განმარტა, რომ მას ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან ჰქონდა საუბარი და გადასცა თავისი მიგნებები. თავმჯდომარე გაესაუბრება თვითონ ფინანსურ მენეჯერს/ ბუღალტერს.

ჯგუფის თავმჯდომარემ მანანა მახარაშვილმა დაამატა, რომ ფინანსურ მენეჯერთან შედგა გასაუბრება, თუმცა ფინანსური მენეჯერი თვითონ პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებაში ჩართული არ იყო, ამდენად, გასაუბრებიდან სრული ინფორმაცია ვერ მიიღეს.

მედეა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ ვერ მოხერხდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება, 39 აქტიური სტუდენტია პროგრამაზე, თუმცა, არცერთი ნაკადის სტუდენტები არ იყვნენ კოლეჯში, მათ შორის მეორე ნაკადის სტუდენტები, რომლებიც 7 საათზე უნდა მოსულიყვნენ, შესაბამისად, ვერ გახდა შესაძლებელი სტუდენტებისგან გაეგოთ მათ მიმართ კოლეჯის მხრიდან განხორციელებული აქტივობები.

საბჭოს წევრი გოჩა გოგიტიძე დაინტერესდა, პროფესიულ სტუდენტთა კვოტა 40, შეიცვალა თუ იგივე დარჩა. რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ იგივე დარჩა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ინდიკატორი 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არ უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და

გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დარღვეულია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრება გაფორმებისა და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტის პროგრამაზე დაშვების წესები. ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ინდიკატორი (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - დაწესებულების მიერ შერჩეული პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების ვერ აკმაყოფილებელ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაო დაფუძნებული სწავლების ფორმის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, ასევე, პსდ-ს მიერ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრ“- თან გაფორმებული ხელშეკრულება არის ვადაგასული. კოლეჯის მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის კვოტის შესაბამისი განსაზღვრული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია მოდულისთვის „საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში“ ასევე არაა სრულყოფილად წარმოდგენილი. ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი (2) - პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პსდ-ს მიერ კლინიკური სწავლების განმახორციელებელი პირების სია/საქმეები არ ყოფილა წარმოდგენილი. კლინიკური სწავლების განმახორციელებელთან შეხვედრა არ შემდგარა პრაქტიკის ობიექტებზე. მათი ჩართულობა ვერ დაადასტურეს პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებმა. ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი (3) - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა კლინიკური სწავლების მოდულების განმახორციელებლების კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შეფასება, ვერც საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვერც თავად პრაქტიკის ობიექტზე. ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ინდიკატორი (5). პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით -

პსდ-ს წარმოდგენილი აქვს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებები, თუმცა, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრებით აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება. ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის „პროგრამის დუალური და კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლების მქონე სუბიექტები“ მე-5 პუნქტის თანახმად დაწესებულებას არ აქვს დადგენილი კოოპერაციული სწავლების განხორციელების სუბიექტის მიერ დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი- ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა, ექსპერტებს და მოითხოვა ერთი ფაქტის დაზუსტება, ჯერ ჯგუფთან და შემდეგ, რა თქმა უნდა, დაწესებულების წარმომადგენლისგანაც მოითხოვდა განმარტებას, განაცხადა მან, შეკითხვა ეხებოდა ინფორმაციას, რომელიც დაწესებულებას ვებ-გვერდზეც არის აქვს განთავსებული და მსმენელს სთავაზობს სახელმწიფო მომზადება/გადამზადების პროგრამას გერიატრიული ასისტენტი, განცხადება იუწყება, რომ მიღება მალე დაიწყება და გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, მათ არა აქვთ მოპოვებული აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება დადგენილი წესით.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ არ არსებობს მომზადება/გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც კოლეჯს მინიჭებული აქვს ამ პროგრამის - გერიატრიული ასისტენტი - განხორციელების უფლება, არც ცენტრის დირექტორის ბრძანება, რომ მათ რეგისტრაციის გზით აქვთ მოპოვებული განხორციელების უფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ დაწესებულება ფუნქციონირებს და რეალურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, არის, თუ არა მათი განხორციელება საფრთხის შემცველი სტუდენტებისათვის.

„საექთნო განათლების“ ..პროფესიული პროგრამის დარგის ექსპერტ თათია კაციტაძის განმარტებით, თუ თეორიულ კომპონენტს განვიხილავთ, ნახეს საექთნო განათლების პროგრამის სტუდენტები, რომლებიც ჰისტოლოგიას გადიოდნენ, მაგრამ მას ეჭვი ეპარება პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით, არ ჩანს იმის მზაობა, რომ საექთნო პროგრამის განხორციელება იყოს მდგრადი, ვინაიდან ვერ შეხვდნენ პროფესიულ მასწავლებლებს, ვინც პრაქტიკული მოდულების განხორციელებაზეა პასუხისმგებელი, არ ჩანდა ვინ იქნება იმაზე პასუხისმგებელი, რომ ნამდვილად კვალიფიციურ კადრს მივიღებთ ამ პროგრამების გავლის შემდეგ, აღნიშნა დარგის ექსპერტმა. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქალბატონ ნანას მონიავასთან ერთად იმყოფებოდა კლინიკაში (წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკა), ადგილზე ვერ გამოიკვეთა, რომ მზაობა აქვს პრაქტიკის ობიექტს მიიღოს სტუდენტები პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად.

დარგის ექსპერტმა მედეა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ ბუღალტრულ პროგრამას, პრაქტიკის განხორციელების ნაწილში პარტნიორები არ ჰყავს, თვითონ სასწავლებელში შესაძლებელია ყველაფერი განხორციელდეს, თუ ისარგებლებენ ამ ეტაპზე, თუნდაც შეფასების

ინსტრუმენტებით, ბანკიდან აიღებენ და მოდიფიცირებას მოახერხებენ, ოღონდ მთავარია, რომ გაითვალისწინონ ის შენიშვნები, რაც გაიცა, აღნიშნა დარგის ექსპერტმა, თუ რეალურად მიმდინარეობს იქ სწავლა, რაშიც ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, სტუდენტები ვერ ნახეს კოლეჯში.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია, რას გულისხმობს საბჭოს თავმჯდომარე შესაძლო საფრთხეებში, ის თვლის, რომ მე-4 სტანდარტი საკმაოდ მსუბუქად შეაფასა ჯგუფმა, მიუხედავად იმისა, რომ ორი სერიოზული ხარვეზი დაფიქსირდა და მსუბუქად შეფასდა სტრუქტურული სქემა, თუმცა აღწერით ნაწილში კარგად იკითხება, რომ ფაქტობრივად კოლეჯში მენეჯმენტი არის ჩამოშლილი, ადამიანური რესურსის განვითარება არ ხდება. ყველაზე მთავარი საფრთხე რაც არის, განმარტა მანანა მახარაშვილმა, არის ის, რომ აქ არ ხდება ადამიანური რესურსების სწორი მენეჯმენტი, არ ხდება განვითარებაზე ზრუნვა და ეს მთლიანად, პრინციპში გასულ 6 წლიან ფუნქციონირებას ლაიტმოტივად გასდევს და ექსპერტთა შეფასებით, მენეჯმენტის ამ რგოლით, ამ მიდგომებით, ეს საფრთხე, ნამდვილად, არის.“

ექსპერტმა ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ ვიზიტის პირველ დღეს, როდესაც დარგობრივი ექსპერტების ვიზიტში მონაწილეობა არ იყო განრიგით გათვალისწინებული, ერთ-ერთ აუდიტორიაში რამდენიმე ადამიანი იყო, რომელზეც გვითხრეს, რომ ესენი არიან ბუღალტერიის სტუდენტები, თუმცა გასაუბრება იმ დღეს დღის წესრიგით დაგეგმილი არ იყო, არც დარგის წარმომადგენელი იყო, რომ ეს განგვეხორციელებინა, თუმცა ეს ფაქტი იყო ნამდვილად და არ შემეძლო, რომ არ მეთქვა, დასძინა ნანა მონიავამ.

საბჭოს წევრი გოჩა გოგიტიძე დაინტერესდა, გაარკვიეს თუ არა ექსპერტებმა, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება კომპიუტერების სიმცირის შემთხვევაში სასწავლო პროცესის წარმართვას, ცხრილები ხომ არ შეუმოწმებიათ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ცხრილები ნახეს, პრობლემა ის იყო, რომ რეალურად კომპიუტერები ადგილზე მათ ჰქონდათ, ეს რესურსი საკმარისი იყო. მაგრამ არ იყო დოკუმენტაცია, რომელიც მათ ფლობას ადასტურებდა, შესაბამისად ამ ცხრილებს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩვენთვის, აღნიშნა მან. ვერ მოხდა სტუდენტებთან გასაუბრება, პროფესიული პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ - სტუდენტები, არსებული ცხრილის მიხედვით, რომელიც გამოკრული იყო თვალსაჩინოდ სტუდენტებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის, არ იყვნენ კოლეჯში, არ მიმდინარეობდა ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ცხრილი შეიცვალა, რაც ცხრილში ასახული არ იყო, არ წინასწარ იყო ინფორმაცია მოწოდებული. ამიტომ გაიცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით. თუ რაიმე ცვლილებები ხორციელდება, მაშინ რაიმე დოკუმენტური მტკიცებულება უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში დოკუმენტური ინფორმაცია, რომ შეიცვალა მეცადინეობის განრიგი, იმიტომ, რომ რეალურად ცხრილით იქ სტუდენტები უნდა ყოფილიყვნენ.

ექსპერტმა მედეა ზურაბიშვილმაც დაამატა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული ცხრილით, საღამოს 7 საათზეც უნდა ყოფილიყო ლექცია და ჩვენ ვიყავით 7 საათზე და არ იყვნენ სტუდენტები.

საბჭოს წევრი გოჩა გოგიტიძე დაინტერესდა, არასრულწლოვანთან ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, სხვა არასრულწლოვანიც ხომ არ ჰყავთ კიდევ პროგრამაზე და ხომ არ შეუმოწმებიათ მისი ხელშეკრულებაც.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა განმარტა, რომ როცა ეს ხარვეზი დაფიქსირდა, მერე ემისის ბაზაშიც გადამოწმდა, მათ შორის ჩარიცხვის პროცედურებიც და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტის არასწორი ჩარიცხვის საკითხიც მერე გამოვლინდა, დასკვნაში ასახულის გარდა, სხვა დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდეგ შესაბამისობის გეგმის უზრუნველსაყოფად, როგორ აკონტროლებდა დაწესებულება შესაბამისობის გეგმის შესრულებას და არსებობდა, თუ არა პროგრესის შიდა მონიტორინგის მექანიზმი, და რა იყო ის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები, რის გამოც ვერ შესრულდა რეკომენდაციები სრულად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა განმარტა, რომ „გერიატრიული ასისტენტის“ პროგრამა კოლეჯს არ აქვს. უბრალოდ ეს არის ანონსი და იქ შეცდომაა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამაზე მუშაობა დაწყებული აქვთ, მომავლის საქმეა და ანონსი უნდა ყოფილიყო და არა ის, რომ ხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იქ ანონსად არ არის, იქ არის მითითებული, რომ კოლეჯი სთავაზობს სტუდენტებს.

ნატალია ბარათელი: „დიახ, სთავაზობს და უნდა ყოფილიყო ანონსი, სთავაზობს კი არა შესთავაზებს“. ნატალია ბარათელმა განმარტა, რომ გასულ წელს კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის დასკვნა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა 2024 წლის 27 აგვისტოს. რეავტორიზაციის ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ რაც მონიტორინგის დასკვნაში წერია, შესრულება მიდის გეგმის მიხედვით და დასკვნაში პირდაპირ წერია, რაც შესრულებულია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ 27 აგვისტოდან კი არ უნდა დაწყებულიყო სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის განხორციელება, არამედ მაისის ბოლოდან. ნატალია ბარათელი - “მე ხანდახან მიწევს, რომ რაღაცაში ექსპერტს არ ვეთანხმები, ამიტომ დაწესებულება მონიტორინგის შემდეგ დაელოდა ავტორიზაციის საბჭოს ჩატარებას და საბჭოს მიერ დადასტურებულ რეკომენდაციებს, ექსპერტები თვითონ წერენ, რომ ყველაფერი მიდის იმის მიხედვით, როგორიც არის გადაწყვეტილება, მაგრამ შეეძლოთ ადრე დაეწყოთ და ადრე დაემთავრებინათ, ბუნებრივია მონიტორინგსაც ვაწარმოებდით და რეკომენდაციების შესრულებასაც, ამას ხომ არ ვიგონებთ დაწერილი აქვთ თვითონ დასკვნაში, უწერიათ, რომ შესრულება მიდის შესაბამისობის გეგმით, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, სხვა წერია და მეორეა, როცა გამოდის ექსპერტი და ამბობს სხვას. ჩემს პრეზენტაციას მე ეხლა წარმოვადგენ დაწვრილებით, გადმოგზავნილი გვაქვს ჩვენ ჩვენი პასუხები, ამ პასუხებს საბჭოც იცნობს და ისეთი კითხვები დასვით, ქალბატონო ელენე, დარწმუნებული ვარ, ზუსტად და წვრილად იცნობთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმასაც, პასუხებსაც, 10 აპრილს პირველი საათისთვის მოგვივიდა დაახლოებით საბოლოო დასკვნა, ჩვენ მაინც ველოდებოდით რომ ავტორიზაციის ექსპერტები, ერთ პუნქტს მაინც გაიზიარებდნენ, ამის მიხედვით უნდა აგვეგო ჩვენ ჩვენი პასუხები, მაგრამ არ მოგვეცა ამის საშუალება, რომ ღრმად შეგვესწავლა დასკვნა, თუმცა დასკვნა ექსპერტებს დათარიღებული აქვთ 26 თებერვლით, დაწესებულებაში მოაღწია 10 აპრილს და ამიტომ ეხლა არის იქ რიგი საკითხები, რომელზედაც ჩვენ ვიმსჯელებთ და საბჭომ გადაწყვეტოს ეს საკითხები.“

ნატალია ბარათელი აგრძელებს : „მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა, შემადგენლობით შორენა ხუბუნაია, მაია ოშიაძე, გიული გურგენიძე, განახორციელეს ვიზიტი დაწესებულებაში, მათ შეამოწმეს 2024 წლის მაისში „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული პროგრამა, რა დროსაც ჯერ სტუდენტები არ ირიცხებოდნენ. რამდენადაც არ იყო დაწყებული მიღება, მერე განხორციელდა. 2025 წლის 13, 14 და 15 იანვარს ვიზიტი განახორციელა რეავტორიზაციის

ჯგუფმა ქალბატონი მანანა მახარაშვილის ხელმძღვანელობით და ისინი წარმოდგენილი არიან თქვენთან, ერთი და იგივე სტანდარტების შესახებ აღნიშნული ჯგუფების შეფასებები რადიკალურად განსხვავებულია, კოლეჯი ადასტურებს ორივე ჯგუფის ექსპერტთა მიმართ პატივისცემას, აფასებს მათ მიერ გაწეულ შრომას, თუმცა გამოხატავს გაკვირვებასა და შეშფოთებას ექსპერტთა მიერ სტანდარტების შეფასების კრიტერიუმებისადმი და მტკიცებულებებისადმი არაერთგვაროვანი აღქმის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრს არაერთხელ აქვს ჩატარებული ტრენინგები სტანდარტების შესახებ ექსპერტთათვის. კოლეჯი ადასტურებს, პატივისცემას, ექსპერტების მიმართ, მაგრამ დაწესებულება იღებს ვალდებულებას, რომ ეს სხვადასხვა შეფასებები გამოვიტანოთ საჯაროდ და აღარ მოვყვებით წვრილად, უკვე დასკვნაში რეაგტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა და რეაგტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულება შეაფასეს სხვადასხვა მისამართზე, ამის გამო შეფასებული მე-5 სტანდარტი პრაქტიკულად უარყოფითია. დიახ დაწესებულებამ შეიცვლა მისამართი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით და როგორ ფიქრობთ, მაშინ როცა კოლეჯი რეაგტორიზაციისთვის ემზადებოდა მატერიალური რესურსები გავაქრეთ?! მონიტორინგის ჯგუფს წარვუდგინეთ და რეაგტორიზაციის ჯგუფს დავუმაღეთ, აქვე ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა, საინტერესოა, რომელ მისამართზე შეამოწმეს რეაგტორიზაციის ექსპერტებმა კოლეჯი?, დასკვნაში სამ ადგილას, ექსპერტები მიუთითებენ, რომ დაწესებულება ოპერირებს მისამართზე, თბილისი, რაფიელ ერისთავის 25 ა, იხილეთ დასკვნა მე-14 გვერდი, 78-ე და 109-ე გვერდი. დიახ, ექსპერტები ოფიციალურ დოკუმენტში უშვებენ ასეთ სავალალო შეცდომას. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ან არ კითხულობენ მიწოდებულ დოკუმენტაციას, ან ზერელედ ეკიდებოდნენ დაწესებულების მომავალს. რეაგტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს საერთოდ არ აინტერესებდა დოკუმენტების შესწავლა და გაცნობა, აქვე დავძენთ, რომ რეაგტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი არაპატივისცემით და ეთიკური ნორმების დარღვევით მოეპყრა კოლეჯის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერს. მიაყენეს მას შეურაცხყოფა რეპლიკებით, რის გამოც ის ცუდად გახდა. ეს თემა მალე სასამართლო განხილვის საგნად იქცევა, შვილი ამზადებს სარჩელს, რადგან ქალბატონი იყო უმძიმესი ავადმყოფი და უკვე გარდაიცვალა, ასევე, უხეშად მოექცნენ პროფესიულ სტუდენტებს. რის შესახებაც სტუდენტები თავად ისაუბრებენ. კლინიკური ბაზების ხელმძღვანელებიც სახტად არიან დარჩენილები, მათი ბაზების დაწუნების გამო., საბჭო ალბათ იფიქრებს, რატომ არ აცნობა კოლეჯმა ცენტრს ამ პრეტენზიების შესახებ, კოლეჯი ელოდებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რასაც როგორც წესი ცენტრი უზაგვანის დაწესებულებას დასკვნის პროექტის მიღებამდე . კოლეჯს ექსპერტთა შეფასების კითხვარი არ მიუღია, აქვე დავძენთ, რომ კოლეჯმა საბჭოს შესახებ ინფორმაცია მიიღო 10 აპრილს 10:33 წუთზე და როცა მოვიკითხეთ დასკვნის შესახებ, ცენტრმა შემდეგ გადმოგვიგზავნა დასკვნა 11:18 წუთზე.

ნატალია ბარათელის განმარტებით, კოლეჯმა საკმარისად არგუმენტირებული პასუხები გასცა ექსპერტთა ჯგუფს დასკვნის პროექტზე, როგორც მეორე, ისე პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის შესახებ. სამწუხაროდ, მათ არცერთი არგუმენტი არ გაიზიარეს, რა თქმა უნდა, არც გაიზიარებდნენ, რადგან მათ თურმე საბოლოო დასკვნა უკვე 26 თებერვალს ჰქონდათ დაწერილი. იხილეთ დასკვნის ბოლოს მითითებული თარიღი, ხოლო კოლეჯმა არგუმენტირებული პასუხი ცენტრში გადაგზავნა 13 მარტს, კოლეჯი დარწმუნებულია, რომ შესაბამისობის გეგმა და სხვა დანართებიც საფუძვლიანად არ შეისწავლეს, ამის თქმის უფლებას კოლეჯი აძლევს თავს, რადგან არც კოლეჯში ვიზიტამდე იყვნენ გაცნობილი დოკუმენტებს, მოითხოვეს ის დოკუმენტაცია, რომელიც გადაგზავნილი იყო ცენტრში, უკვე მიწოდებული დოკუმენტაცია მოითხოვეს რამდენჯერმე, კლინიკებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება შეტანილი იქნა ექსპერტებთან, დოკუმენტაციას ითხოვდნენ არა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, არამედ სიტყვიერად, ამის გამო შექმნეს ქაოსი და აღნიშნავენ, რომ კოლეჯი არ აწვდიდა მათ მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტებს რომ კარგად შეესწავლათ კოლეჯის ვებ-გვერდი, ისინი ნახავდნენ, რომ შეფასებებთან დაკავშირებით ორჯერ ჩაუტარდათ მასწავლებლებს ტრენინგი 2024 წლის 22 ოქტომბერს, 2025 წლის 22 და 23 თებერვალს, შეგიძლიათ შებრძანდეთ ვებ-გვერდზე და ეს ყველაფერი დევს. დასკვნის ოფიციალურ დოკუმენტში კოლეჯის მისამართი სხვადასხვაა, კომპონენტის შეფასებისას ანალიზის ნაცვლად იშველიებენ ფაქტობრივ გარემოებას, რასაკვირველია, არ აღწერენ, რაში მდგომარეობს ფაქტობრივი გარემოება და დასკვნის პროექტი. დასკვნა არ იძლევა საშუალებას, კოლეჯს ღრმად გაეანალიზებინა, რას ედავებიან ექსპერტები, თუ გაიზიარებდა კოლეჯი, რასაკვირველია, გადაიტანდა შესაბამისობის გეგმაში. კოლეჯი არ აპირებს ჯგუფთან დავას და პოლემიკას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ რეავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ უარყოფითად შეფასებული ყველა კომპონენტი შესაბამისობაში ან მეტწილად შესაბამისობაში აქვთ შეფასებული მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს (მათ შორის პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“).

ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ნდობას უცხადებს მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს და არ ენდობა რეავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებას. მოგეხსენებათ, რომ ავტორიზაციის სტანდარტები ყველა დაწესებულებისთვის ერთია და შესასრულებლად ყველასთვის სავალდებულოა, გვინდა ვაჩვენოთ საბჭოს წევრებს, რატომ არ ენდობა კოლეჯი რეავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს და როგორ აფასებენ მიკერძოებულად და სუბიექტურად ექსპერტები ავტორიზაციის სტანდარტებს სხვა დაწესებულებებში „ობიექტურად“, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფი კოლეჯს მოექცა არაობიექტურად. ეხლა გადავალ იმაზე, თუ როგორ არის შეფასებული სხვა კოლეჯი.“

საბჭოს თავმჯდომარემ ბოდიში მოუხადა ქალბატონ ნატალიას და განუმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე განიხილება კოლეჯ „ავიციენას“ საკითხი და სხვა დაწესებულების დასკვნებს საბჭო ვერ განიხილავს. „დღეს ჩვენ სხვა კოლეჯზე არ ვსაუბრობთ, მხოლოდ თქვენს კოლეჯზე“, განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ.

ნატალია ბარათელი: „მე სხვა კოლეჯზე არ ვსაუბრობ, მე ვსაუბრობ, როგორ აფასებს ზუსტად იგივე ექსპერტი სხვა კოლეჯს, ჩვენთან როგორ შემოვიდა სუბიექტურად და როგორ სუბიექტურად შეაფასა სხვა დაწესებულება“

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გაიმეორა: „სხვა დაწესებულება არ არის ჩვენი ინტერესის სფერო, სარჩელი შეგიძლიათ სასამართლოში შეიტანოთ და იდავოთ იქ“.

ნატალია ბარათელი: „კოლეჯი, რომელიც არ არსებობს, იმას აფასებენ დადებითად და ძალიან გთხოვთ, ეს შეიტანეთ ოქმში, კოლეჯი, რომელიც მუშაობს და არის მოქმედი, იმას აფასებენ უარყოფითად, ეს შეიტანეთ ოქმში და ის რომ ეთიკის კომისიას გადაეცემა ექსპერტთა ვიზიტი, თავიდან ბოლომდე ესეც შეიტანეთ ოქმში, ახლა იცით რა, მე ვთქვი და გამოვაგზავნეთ ყველაფერი, ნებისმიერი კითხვა შეგიძლიათ დაგვისვით, მაშინ ახლა მე გადავალ იმ კითხვებზე რომელზედაც თქვენ აქცენტი გქონდათ, თუმცა ეს ყველაფერი ჩვენ გამოგზავნილი გვაქვს, რასაკვირველია, არ შევიტანეთ შესაბამისობის გეგმაში, ქალბატონო ელენე, ძალიან ვწუხვარ, რომ არ მაძლევთ ამის საშუალებას, მე შედარებას ვაკეთებ და არა იმას, რომ რომელიღაც კოლეჯს ვაკნინებ“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ის დიდად აფასებს მის დიდ გამოცდილებას, როგორც ექსპერტის, სავარაუდოდ მან იცის, რომ საბჭოზე განიხილება კონკრეტული საკითხი და არცერთ საბჭოზე არ მომხდარა, რომ სხვა კოლეჯთან რაღაც შედარებები და პარალელები ყოფილიყო გავლებული.

ნატალია ბარათელი: „ქალბატონო ელენე, კიდევ ერთხელ ვადასტურებ ღრმა პატივისცემას თქვენდამი, მაგრამ არცერთ საბჭოზე არასდროს საკითხი ასე არ განიხილულა, მე არა ვარ სასამართლო სხდომაზე, სადაც იცით, საქმის რა გარემოება არ ეხება საქმეს, დიახ, კოლეჯს ეხება, ეს ყველაფერი იმიტომ, რომ კოლეჯი არის შეფასებული არაობიექტურად.“

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასკვნაში ბევრი შეუსაბამობაა ასახული, არ მიაჩნია, რომ არაობიექტურად, რადგანაც იცნობს წარმოების მასალებს, ალბათ უპრიანია საუბარი გაგრძელდეს იმ მიმართულებით, რატომ აქვს კოლეჯს შეუსაბამობები.

ნატალია ბარათელი „მე გამოგზავნილი მაქვს არგუმენტირებული პასუხი, არაობიექტურად არის შეფასებული ჯერ მარტო ის, რომ ჯგუფი დაწესებულებას ედავება, თურმე 12-ში რატომ მოამზადა პასუხი და 13-ში, რატომ დაამტკიცა შესაბამისობის გეგმა, ეს ყოფილა ძალიან დიდი შეცდომა, იმიტომ რომ დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ კიდევ ერთხელ სანამ პასუხს გამოგზავნიდა, კიდევ ერთხელ შეეფასებინა შესაბამისობის გეგმა და 13-ში დამტკიცდა, ეს არის პრობლემა?! გამოაქვთ ხუთჯერ ექვსჯერ ერთი და იგივე საკითხი, ეს არ არის სასამართლო, რაც შეეხება სტუდენტებს, ბუღალტერიის პროგრამის შემფასებელ დარგის ექსპერტს ავუხსენი და დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმაც აუხსნა, რომ მარტო კედელზე კი არ იყო გამოკრული, შეტანილიც გვქონდა ის ცხრილები ჯგუფთან, ვუთხარით, რომ პირველი ცვლა დილიდან იწყებს და პირველი საათზე ამთავრებს., მეორე ცვლა იწყებს 7 საათზე, ის რომ ისინი 7 საათზე დაწესებულებაში იყვნენ, არცერთ დღეს მსგავსი არ ყოფილა, მესამე დღეს, როცა დარგის ექსპერტები შემოგვიერთდნენ, სადღაც 5 საათზე წავიდნენ. ამიტომ ეს არის სრული სიცრუე, აღშფოთებულნი არიან სტუდენტებიც, აღშფოთებულია დაწესებულებაც. რასაკვირველია, მე არ ვამტკიცებ იმას, რომ დაწესებულებაში ყველაფერი წესრიგშია, რასაკვირველია გვაქვს ხარვეზები, განსაკუთრებით, ბოლო დროს საქმისწარმოების მენეჯერი იყო უმძიმესი ავადმყოფი და ჩვენ მას სამსახურიდან ვერ დავითხოვდით. რა საკვირველია საქმისწარმოებაში გვაქვს ჩვენ გარკვეული ხარვეზები და აღვნიშნეთ კიდევ შესაბამისობის გეგმაში, ის, რომ თურმე დამდგარი ფაქტია, რომ სტუდენტთან ხელშეკრულება მის მეურვესთან არ იყო გაფორმებული და გაფორმებული იყო არასრულწლოვანთან, ადგილზევე გასწორდა, ეს არ მიიღეს მხედველობაში, არანაირად, გასაგებია, რომ დაწესებულების მიმართ რისკებს აღმოაჩენენ და თურმე დაწესებულების ფუნქციონირება არ შეიძლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კიდევ ის შეფასება, რომ ხელშეკრულება არ არის გაფორმებული თურმე რეავტორიზაციის ვადით, 6 წლიანი, ესეც სიცრუეა, ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის სექტემბრიდან 2031 წლის სექტემბრამდე, რატომ არის ეს პრობლემა, ხელშეკრულების გადაფორმება, არამარტო გაგრძელება, ყოველ წუთში შეიძლება, ერთადერთი, სადაც არ იყო ხელშეკრულება გაფორმებული კლინიკასთან, ეს იყო, ნევროლოგია და ფსიქიატრია, მათ პირდაპირ გვითხრეს, ხელშეკრულება გრძელდება 2025 წლის 15 აგვისტომდე და რასაკვირველია, მას შემდეგ გაგრძელდება, როგორც კი შეწყდება, მანამდე გავაგრძელებთ ამას, თუ არადა იმ ხელშეკრულებაში მითითებულია, თუ რამე არ შეიცვალა, ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება, ექსპერტები დოკუმენტაციას არ იყვნენ გაცნობილები.

ნატალია ბარათელმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს თხოვნით, რომ ეს გარემოება ყოფილიყო გათვალისწინებული, ასევე, საბჭომ გაითვალისწინოს, რომ დაწესებულება არაფერს არ ითხოვს, რასაკვირველია, ჩვენ უფრო კარგად ვიცით, რომ გვქონდა გარკვეული შეფერხებები. 2023 წლამდე დაწესებულების ერთ-ერთი მეწილე იყო ირანის მოქალაქე. შემდეგ ის გავიდა და დაწესებულებამ. პრაქტიკულად ფუნქციონირება ვერ დაიწყო, იმიტომ რომ დავა იყო დამფუძნებლებს შორის, 2023 წლის მერე დაიწყო დაწესებულებამ ფუნქციონირება და პირველი სტუდენტები საექთნო განათლებაზე დაწესებულებამ მიიღო 2024 წელს, ხელშეკრულებები გაფორმებული გვაქვს კლინიკის დირექტორებთან, ან ხელმძღვანელებთან. ყველაფერია აღწერილი ხელშეკრულებაში, რომ 1:7-თან უნდა იყოს შეფარდება, რა მოეთხოვებათ ექთნებს, რომლებიც ჩაერთვებიან ორი წლის მერე, იმიტომ რომ სამწლიანია პროგრამა და კლინიკური სწავლება მესამე წელს მიდის და ერთი თვით ადრე ისინი იქნებიან დატრენინგებული, მაგრამ ამის გაგონება და ამის მოსმენა რატომღაც ექსპერტებს არ უნდოდათ, იყვნენ ძალიან უხეშები, თუმცა აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იყო უხეში, მაგრამ მადლობა ბუღალტერიის ექსპერტს, რომელმაც თქვა, რომ დაწესებულება მათ შეხვდა ძალიან თბილად და ძალიან ნორმალურად, რატომ უნდა გვქონოდა განწყობა მითუმეტეს, იცით თქვენ ჩემი დამოკიდებულება, ჩვენ დღეს არ მოვსულვართ, არც ძველი ექსპერტები, რომლებიც იყვნენ დაწესებულებაში შემოსული, არც მე და ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთის საქმიანობას.

ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება კომპიუტერების საკითხს, პირდაპირ ამ ოცდამეორე კომპიუტერმა განაპირობა უარყოფითი შეფასება. 30 აგვისტოს იმიტომ გაკეთდა ეს ჩუქების ხელშეკრულება, რომ ჩვენ რომ გადმოვედით სექტემბერში ახალ მისამართზე, ის იყო ხელშეკრულება იჯარით გაფორმებული იმ დაწესებულებასთან სადაც გვქონდა ძველი ხელშეკრულება და ეს ხელშეკრულება გაკეთდა მერე. ექსპერტი არ უნდა აფასებდეს გონივრული ექვსის მიხედვით, ექსპერტი აფასებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. არ იყო შესწავლილი, პირდაპირ ვამბობ. რატომ არ გადმოაგზავნა ცენტრმა ექსპერტების შეფასების რუბრიკა, რომელსაც ნებისმიერ დაწესებულებას უგზავნი. თქვენ იცით ჩემი დამოკიდებულება, ქალბატონო მანანა, არაფერი პირადული, ჩვენ წლებია ვმეგობრობთ, მაგრამ რამდენადაც სუბიექტურად არის შეფასებული დაწესებულება, მე თავს ვალდებულად ვთვლი, ვუპასუხო ამ ყველაფერს, ყოველ შემთხვევაში დაწესებულებას ეს ასე მიაჩნია, ახალი საბჭოა, წარმატებებს ვუსურვებ მე მათ, მაგრამ საბჭოს წევრებს უნდა სცოდნოდეთ, რომ ექსპერტმა უნდა იმოქმედოს მხოლოდ სინდისით და დაწერილი ეთიკის ნორმებით, ყველაფერი გადმოგზავნილია, ნებისმიერ კითხვას შეგვიძლია გავცეთ პასუხი და ასევე მიიღო ჩაერთონ სტუდენტები განსაკუთრებით ბუღალტერიის სტუდენტები. მადლობა ქალბატონ ნანა მონიავას, რომელმაც თქვა. რომ ბუღალტრები ისხდნენ თავის ოთახში, მაგრამ მათ იმ დღეს არ ჰქონდათ დაგეგმილი მათთან შეხვედრა და ელოდებოდნენ დარგის ექსპერტს, დარგის ექსპერტი მობრძანდა, ცხრილები ედოთ მაგიდაზე, ვუთხარით, რომ პირველი ცვლა მუშაობს პირველ საათამდე, მეორე ცვლა, სტუდენტები, რომლებიც იყვნენ ახალი მიღებულები იყვნენ ეს სტუდენტებიც, ახალი ჩარიცხულები იყვნენ ეს სტუდენტებიც და ძალიან მარტივად შეიძლება ამის გადამოწმებაც ემისის ბაზაში, რომლებიც სწავლობენ, სწავლასთან ერთად მუშაობენ, პრობლემა იყო ის, რომ სტუდენტმა, რომელმაც თავის ენაზე მშობლიურ ენაზე, აზერბაიჯანულ ენაზე ჩააბარა გამოცდა გამოცდების ეროვნულ ცენტრში და მას შესთავაზეს, ან არ შესთავაზეს ქართული ენის მოდულების გავლა, იცით, რა მე ამ შემთხვევაში ვიზიარებ იმას, რომ დაწესებულებამ აუცილებლად ტესტირება უნდა შეიმუშავოს ქართული ენის მოდულში და ასევე ტესტირება, სტუდენტმა შეიძლება ჩააბაროს თავის მშობლიურ ენაზე, მაგრამ როდესაც ის ქართულად ასე, თუ ისე მეტყველებს ქართულად, უნდა ჩააბარებინოს ტესტი და ამას, რასაკვირველია, დაწესებულება იზიარებს, ახლა, რომ გითხრათ ჩვენ, ეს ნამდვილად ასეა და საქმის წარმოებაზე მოვიწერე კიდეც შესაბამისობის გეგმაში, რომ თვეში ერთხელ

გადამოწმდება ეს ყველაფერი, მაგრამ ჩვენ ძალიან ფაქიზად ვეპყრობოდით მენეჯერს, რომელიც დაარსების დღიდან საქმის წარმოების მენეჯერი და ადამიანური რესურსების მენეჯერი იყო, ის იყო უმძიმესი ავადმყოფი და მოგეხსენებათ გარდაიცვალა.

ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ ძალიან ზერელედ იყო შესწავლილი ყველაფერი და კიდევ ერთი მინდა დავამატო, მე ექსპერტებს და ცენტრის თანამშრომლებს შევთავაზე, რომ გთხოვთ, მოიწეროთ მეილზე რა დოკუმენტაცია გინდათ, რომ გამოითხოვოთ, მერე ჩვენც მეილით გადავუგზავნიდით და დავაფიქსირებდით, რომ ეს ყველაფერი გადაგზავნილი იყო, უარი გვითხრეს, უკაცრავად, ჩვენ დაწესებულება ვართ, მეც ვყოფილვარ ვიზიტზე, თქვენც ყოფილხართ ვიზიტზე, ერთადაც ვყოფილვართ ვიზიტზე და არსად ასეთი მსგავსი არ ყოფილა და კიდევ ერთი ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მათ, ნამდვილად, არ ჰქონდათ დოკუმენტაცია შესწავლილი და არანაირი წინა სამუშაოები, მე არ ვიცი ერთმანეთს შეხვდნენ, თუ არ შეხვდნენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ისინი არ იცნობდნენ დაწესებულების დოკუმენტაციას. რასაკვირველია, გვაქვს გამოსასწორებელი რაღაცეები. როგორც ასეთი, ნაკლებად შესაბამისობის შეფასებას, ექსპერტები არ ხმარობდნენ, ხომ შეიძლებოდა რაღაცაში, რაც მივაწოდებ ნაკლებად შესაბამისობაში, არა, მათ ეს არ მოსწონთ და არ არის შესაბამისობაში, რატომ, ტყუილად არის ავტორიზაციის დებულებაში გაწერილი ოთხი შეფასება, ოთხი დონის შეფასება, რატომ, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე, წარმოუდგენელია ასე ყველაფერი, თუმცა თვითონვე აღნიშნავენ, რომ მონიტორინგის ყველა რეკომენდაცია, რომელიც გაიზიარა საბჭომ, სრულდება ან მიმდინარეობს ვადების დაცვით, მაგრამ აი იქ აქვს უკვე ნახმარი ნაკლებად შესაბამისობაშია, იქ რაც წარმოგვიდგინეს. ერთადერთი იქ შეეძლოთ, რომ დაეფიქსირებინათ ყველაზე ცუდი, თუმცა ეს სხვა არის, აქ უკვე სხვა შეფასებებში თავიდან ბოლომდე ერთი და იგივე შეფასება მეორდება ხუთ, ექვს, შვიდ ადგილზე და ეს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. გაცილებით უფრო კარგი ინფრასტრუქტურა გვაქვს, დაწესებულება არ ითხოვს რაღაცა განსაკუთრებულს, ჩვენ ვითხოვთ, რომ ნაკლებად შესაბამისობა ავტორიზაციის რაღაც სტანდარტებში იწვევს იმას, რომ ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებელი აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ, თუ დაწესებულებას აქვს ნება იმის, რომ გამოასწოროს თავისი ხარვეზები, რეკომენდაციები შეასრულოს ერთი წლის, თუ წელიწადნახევრის განმავლობაში, სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ მახსოვს, ამიტომ ჩვენ ვითხოვთ იმას, რომ შეფასება მოხდეს იმის მიხედვით, რასაც ითხოვს ავტორიზაციის დებულება და თუ მერე კი გასწორდა, მაგრამ დამდგარი ფაქტი იყო და ბევრ დამდგარ ფაქტს გადავცემ ეთიკის კომისიას და სასამართლოს განსახილველად. ქალბატონო ელენე, არ ვამბობ იმას, რომ ჩვენ რაღაცა გამოსასწორებელი არ გვაქვს, გვაქვს გამოსასწორებელი, რასაკვირველია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაწესებულება აღარ უნდა ფუნქციონირებდეს რამდენნაირი დასკვნა არ წამიკითხავს, მე მსგავსი დასკვნა და არაობიექტური დასკვნა 2010 წლიდან ექსპერტი ვარ, ჯერ უმაღლესების ავტორიზაციის და აკრედიტაციის და 2011 წლიდან, როცა დაიწყო უკვე პროფესიული, თუ 2013 წელი იყო ზუსტად არ მახსოვს, რომ ცალკე გამოგვეყო სამსახური, აი იქიდან ვარ ექსპერტი, მე არცერთ საბჭოზე ასეთი არ გამოვსულვარ, იმიტომ, რომ არ იყო ამის არანაირი აუცილებლობა და იძულებული ვხდები, რომ დღეს ასეთი მკვეთრი განცხადებები გავაკეთო.“

განმარტება გააკეთა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებას შესაბამისობის გეგმის თარიღებთან დაკავშირებით, ყველამ იცის, რომ eFlow-ში შესაძლებელია წერილის დრაფტად შენახვა და შემდეგ eFlow-ში განსხვავებული თარიღი შეიძლება გამოჩნდეს. ამის დარღვევად აღნიშვნა არაკოლეგიალური იყო. რაც შეეხება ამ 7 ლეპტოპის ფლობის დოკუმენტაციას, საქმის მწარმოებელი განერვიულდა და ამ ნერვიულობის ფონზე, მან ვერ მოძებნა ამ შვიდი ლეპტოპის ჩუქების დოკუმენტაცია, ეს დოკუმენტაცია როცა გადმოგზავნილი იყო, უკვე ექსპერტთა დასკვნის პროექტში ცვლილებისათვის, მე არ მესმის უბრალოდ, რატომ არ მოხდა

ამის გათვალისწინება, თუ აქ არ იყო რაღაცა მიზანმიმართული ქმედება, მე ამას უბრალოდ ვერ ვხვდები, იმედია თვითონ ექსპერტებმა იციან, რატომ არ გაითვალისწინეს, თუნდაც ეს. ზუსტად ამ 7 ლეპტოპის ფლობის დოკუმენტაციაზე აქვთ აგებული რამდენიმე სტანდარტისა და ქვესტანდარტის ვერ შესრულება, ეს არა მგონია იყოს რელევანტური. დასკვნების ძირითად ნაწილში ჩვენ არ დავეთანხმეთ, არის ნაწილი, რაშიც დავეთანხმეთ და შესაბამისობის გეგმა წარმოვადგინეთ, ეს ნაწილი არის ძალიან ზედაპირულად და მიკერძოებულად ასახული დასკვნაში.

პარტნიორი კლინიკის წარმომადგენელმა ტარიელ გამყრელიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს თვითონ დახვდა, აჩვენეს სასწავლო სივრცეები, ახალი დამთავრებული რემონტი, მაგიდებით, მერხებით. სამი თვეც არ არის გასული, რაც დაწესებულებამ მიიღო საერთაშორისო ამერიკული სერტიფიკატი. მე 43 წლის პედაგოგიური გამოცდილება მაქვს, აღნიშნა ბატონმა ტარიელმა, მათ შორის სამედიცინო სასწავლებელშიც ვმოღვაწეობდი მესამე ცვლაში, საშუალო სკოლის შენობაში იზრდებოდნენ ექთნები, არაჩვეულებრივი ექთნები და მოიტანეს საქართველოს ჯანდაცვა დღემდე, ვნახოთ რას იზამენ თქვენს დაწესებულებებში, თქვენს მიერ საექსპერტო დასკვნებით დაჯილდოებულ დაწესებულებებში რა ექთნები გაიზრდებიან, მე მინდა ნამდვილად, წარმატება გისურვოთ თქვენს საქმიანობას, მაგრამ სათხოვარი მექნება, რომ ცოტა ობიექტურობი იყავით.

საბჭოს თავმჯდომარემ პროტესტი გამოხატა და განაცხადა, რომ დამსწრე პირებს არა აქვთ უფლება საბჭოს საქმიანობა შეაფასონ. „ეს უნდა დაამტკიცოთ თქვენ, განაცხადა ელენე კაკაბაძემ, რომ საბჭო არის არაობიექტური, თქვენ ნამდვილად არ გაქვთ ამის შეფასების უფლება, თქვენ შეგიძლიათ თქვენს პროფესიაში შეაფასოთ, მაგრამ საბჭოს და ექსპერტის შეფასება არ არის თქვენი პრეროგატივა. საბჭოზე იხილება საკითხი და არ ფასდება არც საბჭოს წევრი და არც საბჭოს თავმჯდომარე, არც ექსპერტები არ ფასდებიან საბჭოზე, ექსპერტი კი არ ფასდება, ფასდება დასკვნა ექსპერტის მიერ დაწერილი“

ზურაბ ჩხაიძემ, კლინიკა ვივამედის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ საუბრობს კლინიკა ვივამედის სახელით, რომელიც არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი კლინიკა და აკრედიტაცია - ავტორიზაციის პროცესი გაიარეს თსუ-სთან ერთად და ეს არის ძირითადი საუნივერსიტეტო კლინიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გარდა ამისა კლინიკაში აქტიურად მიმდინარეობს პროცესი პოსტდიპლომური განათლების, აქვთ სარეზიდენტო პროგრამები 15 მიმართულების, რომლებიც . ფუნქციონირებს წარმატებით . ერთადერთი ძირითადი მოტივაცია მაინც უნდა იყოს, რომ გავითვალისწინოთ ის სავალალო მდგომარეობა, რაც არის დღევანდელ საქართველოში, განაცხადა მან, ის რომ ერთი ექთანი ძლივს მოდის 5-6 ექიმზე, სტატისტიკური მონაცემებით, ეს არის კატასტროფა, ამდენად, ძირითადი მიზანი მაინც უნდა იყოს ხელის შეწყობა, რომ რაღაც ხელშემწყობი ფაქტორები გამოჩნდეს დავახმაროთ ამ დაწესებულებებს, რომლებიც დაკავებულები არიან საშუალო სამედიცინო პერსონალის მომზადებით, ყველანაირად შევუწყოთ ხელი და დავეხმაროთ მათ ამ პროცესის განხორციელებაში. კლინიკას აქვს საკონფერენციო დარბაზები, სადაც სალექციო პროცესები მიმდინარეობს, 8 სასწავლო ოთახი, თითო სასწავლო ოთახის ფართი არ არის ნაკლები 20-25 კვადრატულ მეტრზე, რომლებიც აღჭურვილია რა თქმა უნდა, თავისი კომპიუტერული ტექნიკით, აღჭურვილი არის თავისი პროექტორებით და სრული შესაბამისობაში იმ მოთხოვნებთან, რაც მოეთხოვება უმაღლეს სასწავლებლებს, გარდა ამისა ჩვენ გავიარეთ საერთაშორისო აკრედიტაცია, კანადის საერთაშორისო აკრედიტაცია, იქ იგულისხმებოდა როგორც კლინიკის მუშაობა, რა თქმა უნდა, ამასთან ერთად განხილულ იყო კლინიკა, როგორც საუნივერსიტეტო ბაზა და დასახელდა ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკად. აქედან გამომდინარე ჩვენთვის მართალი გითხრათ, ცოტა გასაკვირი იყო ის, რაზეც საუბრობდნენ თქვენი ექსპერტი კოლეგები“.

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ კლინიკებთან დაკავშირებით ეჭვი და კითხვის ნიშანი არავის დაუსვამს, შემოწმდა კლინიკები და პრაქტიკის ობიექტები რა დონის არის, ჩვენ უბრალოდ ვამოწმებთ კლინიკებს დაწესებულებასთან პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან მიმართებაში, მზაობა და თანამშრომლობა, აღნიშნა მან, ამაზე იყო საუბარი, თორემ თქვენი კლინიკა და არც სხვა კლინიკები კითხვის ნიშნის ქვეშ არავის არ დაუყენებია, არც ექსპერტს და არც საბჭოს, დაწესებულებასთან თანამშრომლობისთვის რამდენად ხარო მზაობაში, რამდენად არის რეალური ის ხელშეკრულება, ამაზე იყო ექსპერტების მხრიდან საუბარი, ექსპერტებს ნამდვილად არ შეუფასებიათ თქვენი კლინიკა.

ზურაბ ჩხაიძემ განაცხადა, რომ კლინიკა, რა თქმა უნდა, თანამშრომლობის სრულ მზაობას გამოთქვამს მითითებულ დაწესებულებასთან, მათ შორის მას გააჩნია როგორც ადამიანური რესურსი, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის სრულ შესაბამისობაში, ჩემთან საუბარი რაიმე შენიშვნებზე ნამდვილად არ ყოფილა, მე არ მახსენდება ასეთი შეხვედრა, აღნიშნა მან.

ბუღალტერიის პროგრამის სტუდენტი: „უბრალოდ მინდა იცოდეთ, რომ ექსპერტების დასკვნას ვემიჯნები 100%, მე როდესაც ვარ კოლეჯის სტუდენტი, ვიცი შიგნით რა ხდება, როგორ არის სწავლება და 100% გარანტიას გაძლევთ, რომ ყველანაირად თანამშრომლობა სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის არის საუკეთესო, კოლეჯთან ერთად უნივერსიტეტშიც ვსწავლობ მე და გამოცდილება მაქვს მაგ სფეროში.“

ბუღალტერიის პროგრამის სტუდენტი : „მე ყველაფრით კმაყოფილი ვარ და არც ვიცი, რა ვთქვა, მეგობრული განწყობა., გაცდენებს რაც შეეხება, თუ ყოფილა ასეთი მომენტი, სულ პედაგოგებს ვუთანხმდები, მე ვმუშაობ პარალელურად, დედა ვარ 3 შვილის და შეთავსების მხრივ ყველანაირად ხელს მიწყობენ“.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყვნენ თუ არა სტუდენტები გაფრთხილებული, რომ უნდა შეხვედროდნენ ექსპერტებს, სტუდენტმა განაცხადა, რომ პირადად ის არ იყო გაფრთხილებული.

ნატალია ბარათელი: „შეხვედრა უნდა ყოფილიყო პირველ საათამდე ჯგუფთან, რომელიც სწავლობდა დილის 9-დან 1-მდე, პირველ საათამდე სხვა საქმით იყვნენ დაკავებული ექსპერტები და 7 საათამდე ნამდვილად არცერთი ექსპერტი არ ყოფილა კოლეჯში, ეს ნამდვილად გვაქვს დაფიქსირებული, მესამე დღეს, როდესაც შემოვიდნენ დარგის ექსპერტები, ისინი სადღაც ექვსის 5, თუ 7 წუთზე გავიდნენ, 7 საათზე მე გავედი დაწესებულებიდან, შეიძლება რვის წუთებზე და არცერთი ექსპერტი არ იყო.“

დაწესებულების წარმომადგენლის ამ ნათქვამზე პროტესტი გამოხატა დარგის ექსპერტმა, რომელმა მოიყვანა მტკიცებულება, რომ შვიდ საათამდე ნამდვილად იყო კოლეჯში 15 იანვარს და იქ ბუღალტერიის პროგრამის სტუდენტები არ იყვნენ.

საექთნო განათლების სტუდენტი: „მინდა დავიწყო იქიდან, რომ თვითონ დაწესებულებით ვარ ძალიან კმაყოფილი, დაწყებული სასწავლო პროცესიდან, მე ავირჩიე პირველი ცვლა და ვესწრებოდი თითქმის ყველა ლექციას, მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს ლექტორ-მასწავლებლებს, ეს არ არის ჩემთვის პირველი სასწავლო დაწესებულება, მაქვს პირველი უმაღლესი და ორი პროფესიული განათლება და ეს გახლავთ მესამე პროფესიული განათლება ჩემი, მინდოდა ყოველთვის საექთნოს შესწავლა, თუმცა პარალელურად ვერ ვახერხებდი, ვარ პრაქტიკოსი სპეციალისტი, კოსმეტოლოგი. ჩვეულებრივ სასწავლო პროცესი

გვქონდა და არც ვიყავით წინასწარ გაფრთხილებული, რომ კომისია შემოვიდოდა, იმიტომ რომ ჩვენთვის რატომ უნდა შეეთანხმებინა ადმინისტრაციას, მათი შეკითხვებით და დამოკიდებულებით დავრჩით შეურაცხყოფილები.“

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცენტრიდან ექსპერტებს მიყვება ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც აკონტროლებს ექსპერტთა ქმედებას, ვალდებულია აღკვეთოს შეურაცხყოფელი ქმედებები.

ნატალია ბარათელი „ცენტრის თანამშრომელი, ქალბატონი ქეთი ციხისელი იმყოფებოდა დაწესებულებაში ცენტრიდან წარმოდგენილი, ცენტრის თანამშრომელი გასაუბრებებს არ ესწრებოდა, თორემ ჰკითხეთ ქალბატონ ქეთის.“

ქეთი ციხისელი: „სტუდენტებთან გასაუბრების დროს მე დავათვალიერე სივრცე პირველ სართულზე განთავსებული და სტუდენტებთან გასაუბრებას, რა თქმა უნდა, მეც ვესწრებოდი, მე პედაგოგებთან გასაუბრებასაც ვესწრებოდი.“

საბჭოს თავმჯდომარე: „მე უბრალოდ კითხვა დავსვი, მინდოდა, რომ ეს ფაქტი დაფიქსირებულიყო საბჭოზე, იმიტომ, რომ მე როდესაც დავდიოდი ვიზიტზე და ცენტრიდან მომყვებოდა ცენტრის წარმომადგენელი, ყოველთვის ჩემთან ერთად ესწრებოდა გასაუბრებებსაც, დადიოდა ფართის დათვალიერებაზე, პრაქტიკის ობიექტზეც მომყვებოდა, გამიკვირდა, მითუმეტეს ქალბატონი ქეთი ციხისელი, რომელთან ერთადაც ვარ ვიზიტზე ნამყოფი.“

ქეთი ციხისელი: „პრაქტიკის ობიექტზე ნამდვილად არ ვყოფილვარ, ქალბატონო ელენე, იმიტომ რომ ჯგუფი გაიყო და ნაწილი წავიდა პრაქტიკის ობიექტზე, ქალბატონი ნანა მონიავა და თათია, თუმცა სტუდენტებთან გასაუბრებას ნამდვილად ვესწრებოდი“

ნატალია ბარათელმა ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ პირადად არ ესწრებოდა სტუდენტებთან შეხვედრას და ალბათ, არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს.

საექთნო განათლების სტუდენტი: „მოგახსენებთ, რომ მე მინდოდა ამ განათლებაში მონაწილეობის მიღება და ყველაზე მაღალი ქულებით ჩავაბარე გამოცდები, ვარ შრომისუნარიანი, ვარ ძალიან დიდი გამოცდილების, ვმუშაობდი კანისა და დაავადებების ინსტიტუტში, ექიმი ლაბორანტი გახლავართ, გადავწყვიტე, აქაც მესინჯა ჩემი დიდი გამოცდილების მერე რომ განათლება მიმეღო, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მძიმე ოჯახური მდგომარეობა მაქვს, მაინც ვახერხებ და ვცდილობ, რომ არ ჩამოვრჩე და ექსპერტებმა მითხრეს, რომ საინტერესოა, სახელმწიფო რატომ ხარჯავს თქვენზე ასაკოვან ადამიანებზე თანხებსო, ძალიან შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი“

საბჭოს თავმჯდომარემ საბოლოოდ მიმართა დაწესებულებას განეცხადებინა, როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება, რომ სტუდენტების ინტერესები დაცული იყოს იმ პირობებში, როცა სტანდარტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის დაკმაყოფილებული.

ნატალია ბარათელი: „ეს არის არაჩვეულებრივი კითხვა და ძალიან დიდი მადლობა ამ კითხვისთვის, მე ვთქვი, რომ დაწესებულებას, რასაკვირველია, აქვს ხარვეზი, მაგრამ არა ისეთი ხარვეზები, რომლებიც არ შეიძლება შეფასებულიყო ნაკლებად შესაბამისობაში, ნამდვილად, ამიტომ დაწესებულებას უკვე თითქმის გაწერილი აქვს ყველანაირი დოკუმენტაცია, ბევრ დოკუმენტზე ჩვენ უკვე გვქონდა ამაზე საუბარი დაწესებულებაში და იმედი მაქვს საბჭო ნაკლებად შესაბამისობით გადაგვიყვანს მონიტორინგის რეჟიმში ერთ წელიწად,“

წელიწად-ნახევარში თქვენ აქ დაგხვდებათ სრულიად სხვა სურათი, ამას ვამბობ საბჭოზე და ჩაწერეთ ესეც ოქმში და მონიტორინგის პირობებში შესაძლებელი იქნება, ის რაც ხარვეზი ნამდვილად გვაქვს, რომ გამოსწორდეს, არ ვთვლით ამას პრობლემას, თუმცა ძალიან ბევრი განმავითარებელი შეფასებები მოგვცეს ექსპერტებმა, რომლებსაც გავიხდით სამაგიდო წიგნად, და რასაკვირველია, გავითვალისწინებთ.“

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, საბჭოს წევრებსაც ხომ არ ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებთან რაიმე შეკითხვები.

ეკატერინე გიგაშვილი: „მე მაქვს შეკითხვა, დღის წესრიგი თუ იქნა თქვენთან შეთანხმებული, სადაც როგორც წესი არის ხოლმე მითითებული გარკვეული ჩარჩოს მიხედვით, რომელ საათზე ვისთან იქნება გასაუბრებები და მითითებული გყავდათ, თუ არა იქ სტუდენტები და მეორე კითხვა თქვენ, ქალბატონო ნატალია, აპელირებდით ექსპერტთა შეფასების ფორმაზე, რომელიც ოფიციალურად თითქმის ყველა შემთხვევაში, ვერ გავიხსენებ ესეთ დროს, როცა არ მომხდარა ესეთი უკუკავშირი, რადგან თქვით, რომ არ მიგიღიათ შეფასებასთან დაკავშირებით ფორმა, კითხვა მაქვს თქვენთან ასეთი, ფორმა არ გადმოგეგზავნათ ცენტრიდან, თუ, როგორც მე მოვისმინე, უბრალოდ თქვენ გქონდათ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები, იქნებ არ მიგიღიათ აი ეს ფორმა, ეს მინდა, რომ დამიდასტუროთ, რომ მე რაღაცნაირად მიუკერძოებელი შთაბეჭდილება დამრჩეს“.

ნატალია ბარათელი: „დაწესებულებას არ მიუღია ექსპერტთა შეფასების ფორმა, ცენტრიდან ეს არ ყოფილა გადმოგზავნილი, ეს ნამდვილად არ ყოფილა, ამის გადამოწმება ძალიან მარტივია, დღის წესრიგი გადმოგვიგზავნეს და იქაც იყო მითითებული სტუდენტებთან შეხვედრები და საათები არ ყოფილა გაწერილი“.

მანანა მახარაშვილი: „მე გაგცემთ პასუხს, გეგმაში ყოველთვის გაწერილია თითოეული დღის საკითხები, დაწყების და დასრულების საათები, აქტივობები არის ჩამოთვლილი, რასაც მერე დაწესებულება თავისი სურვილით აორგანიზებს, რომ იყოს მათთვის კომფორტული, ამიტომ კონკრეტული დრო გაწერილი არ იყო და ყველა ვიზიტზე დაწესებულება თვითონ აორგანიზებს ხოლმე, ამ დროისთვის ჩავნიშნეთ თქვენთან გარკვეული შეხვედრა და გთხოვთ, ამ დროისთვის შეხვდით სტუდენტებს, მასწავლებლებს, დამსაქმებელს, და ასე შემდეგ, როგორც აი ამ გეგმაში არის გაწერილი. ჩვენ ველოდებოდით შემოთავაზებებს, რაც არ ყოფილა და მათ შორის, ხაზგასმით, ყველა იმ ადმინისტრაციულ პერსონალთან, რომელთანაც არ მოხდა შეხვედრა.“

ცენტრის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმაც გააკეთა განმარტება იმ საკითხზე, რაც ქალბატონმა ეკამ დასვა, დღის წესრიგი ნამდვილად გაგზავნილი იყო, ეთხოვა კიდევაც დაწესებულებას, თუ რაიმე ჰქონდათ შენიშვნები დღის წესრიგთან დაკავშირებით, უკუკავშირი მოეცათ, რაც არ მოსულა ნამდვილად, როგორც ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, ბოლო პერიოდის პრაქტიკა არის, რომ ჩვენ ვაწვდით აქტივობების ჩამონათვალს, დროით არ შემოვსაზღვრავთ, იმიტომ რომ იყო ხშირი შემთხვევა, როდესაც იმ კონკრეტულ დროის მონაკვეთში დაწესებულება ვერ ახერხებდა აწყობდა ჩვენს განრიგს, ამიტომ მათ ვაძლევთ თავისუფლებას, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არის ჩამონათვალი, რა შეხვედრები უნდა ჩატარდეს და დაწესებულება თვითონ ადგენს, როდის რა შეხვედრას ჩანიშნავს. ამიტომ წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ჯგუფი არ მოერგებოდა იმ განრიგს, თუ დილის საათებში სწავლობდა ბუღალტრული აღრიცხვის ჯგუფი, მაშინ შეძლებდნენ შეხვედრას, ნახევარი საათი სთხოვდნენ იმ სტუდენტებს და გაჩერდებოდნენ სწავლის დასრულების შემდეგ, ეს ნამდვილად წარმოუდგენლად მიმაჩნია, ეს პრაქტიკაა და ყოველთვის მივდივართ თანამშრომლობაზე, ექსპერტებსაც კი უწევთ, რომ აეწყონ დაწესებულების განრიგს, ვთქვათ, ვიღაცაა მოსასვლელი,

ვიდაც უცხოეთშია და მასთან გასაუბრებისთვის კონკრეტული დრო არის მაინც და მაინც მისაღები, ამაზე ვართ ყოველთვის მოქნილები. რაც შეეხება შეფასების ფორმას, არ იყო გამოგზავნილი, რადგან ტექნიკური გაუმართაობა მოხდა, როგორც ჩანს, ისევე, როგორც დასკვნა, ნამდვილად, არის გამოგზავნილი რვა რიცხვში, როცა საბჭოს მოწვევა გაკეთდა, იმ თარიღით არის გამოგზავნილი დასკვნა, დასკვნა ცენტრში შემოვიდა 26 მარტს, დასკვნა და საბჭოზე მოწვევა გამოიგზავნა 8 აპრილს, 8 აპრილის მეორე დღე, 9 აპრილი დასვენების დღე იყო და იმიტომ მიიღეთ 10-ში, თორემ 8 რიცხვში ჩვენი მხრიდან ნამდვილად არის გამოგზავნილი დასკვნა და საბჭოზე მოწვევა, შეფასების ფორმა, ქალბატონო ნატალია მოგივით დღესვე და შეგიძლიათ, სანამ გადაწყვეტილება გამოქვეყნდება, ამ უახლოეს დღეებში გამოგვიგზავნოთ შეფასების ფორმა შევსებული, არ ვიცი, საბჭო ალბათ იმსჯელებს, თათბირის უფლებასაც გამოიყენებს, შედეგი რა დადგება, არც მე ვიცი და არც წინასწარ საბჭომ არ იცის, დაველოდოთ, ძალიან უხერხული იყო ჩემთვის ამ ყველაფრის მოსმენა, ასეთი მძიმე საბჭო ჩვენ არ გვქონია, გვქონდა ისეთი შემთხვევები, როცა უკმაყოფილოები იყვნენ დაწესებულების წარმომადგენლები დასკვნით, მაგრამ როცა ამ უკმაყოფილებას გამოხატავენ არასწორი მეთოდებით, ეს არის ძალიან არასწორი დამოკიდებულება ცენტრის და ექსპერტების იმ დიდი სამუშაოს მიმართ, რომელსაც ჩვენ ვეწევით, ცენტრის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოზიციაა, რომ ის იყოს ობიექტური და ექსპერტთა დასკვნა იყოს ობიექტური, ამ პრინციპით არსებობენ ჯერ კიდევ ჩვენთან ექსპერტები და ეს ჯგუფი ერთ-ერთი კომპეტენტურია, მე მეტს ვერაფერს ვერ ვიტყვი, დანარჩენი საბჭოს გადასაწყვეტია, ვწუხვარ, რომ ასეთი მეთოდები გამოიყენა დაწესებულებამ.“

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა შეკითხვები, ამის შემდეგ სიტყვა მისცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

მანანა მახარაშვილი: „მადლობა, პირველ რიგში, ჩემს გუნდს, ჯგუფს გადავუხდი ძალიან დიდი მადლობას, აი ამ მოთმინებისთვის, რის წინაშეც აღმოჩნდნენ და იმ გაწეული შრომისთვის და ობიექტური შეფასებისთვის, იმიტომ, რომ ამას ჩვენთვის ძალიან დიდი პროფესიული მნიშვნელობა აქვს და ეს ღირსების საკითხია, თავის მართლებას არ ვიწყებ, იმიტომ რომ აქ იყო ბრალდებები, ცრუ ბრალდებები, მათ შორის ადამიანის გარდაცვალებაშიც კი ბრალი დამდეს, ერთი თხოვნა მექნება სამდივნოსთან, რომ ჩანაწერი არ განადგურდეს, სანამ მისი საჭიროების ვადა არ ამოიწურება, იმიტომ, რომ თუ დაწესებულება არ იჩივლებს, მე თავად ვიჩივლებ, ეს მინდა რომ დავაფიქსირო ამ ბრალდებებზე, ძალიან დიდი მადლობა იმ შენიშვნებისთვის, იმიტომ რომ იმაზე მეტი შენიშვნები, მე თვითონ ვიპოვე ამ დასკვნაში, მოგეხსენებათ, რომ ყოველთვის ფორსმაჟორში ვართ და ყველა დეტალს ვერ გააკონტროლებ და ეს ისეთი პრიმიტიული შეცდომები იყო, რასაც საბჭოს გადაწყვეტილება ნამდვილად ჩაასწორებს. ქალბატონო ნატალია, ძალიან დიდი რიდით თქვენს წინაშე როგორც ასაკობრივი, ასევე პროფესიული გამოცდილებით, გეტყვით, რომ „ნაკლებად შესაბამისი“ ასეთი ტერმინი არ გვაქვს შეფასების სისტემაში და იქნებ დააზუსტოთ, რომელი შეფასება უფრო მისაღები იყო თქვენთვის, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თავის მართლებას არ დავიწყებ, რადგან თავს იმართლებენ დამნაშავეები, ჩემი ჯგუფის არცერთი წევრი არ იმსახურებდა დღეს ამ სიტყვებს, იმიტომ, რომ მსგავს ქმედებებს ადგილი არ ჰქონია, მათ შორის პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების მხრიდან გამოსვლა, სხვას ვერაფერს ვერ დავამატებ იმიტომ, რომ ეს რაზეც საუბარი მინდა, არ არის თქვენი საბჭოს მანდატი, ეს ცდება, სამწუხაროდ, თქვენს მანდატს, მაგრამ ჩემს კოლეგებს ავიცენადან, ვთხოვდი მათივე სიტყვებით, რომ ვიხელმძღვანელოთ პირველ რიგში სინდისით და დავამატებდი, რომ უარს ნუ იტყვით გონიერებაზე, პასუხისმგებლობაზე და ღირსებაზე, მადლობა ყურადღებისთვის, წარმატებებს გისურვებთ.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხვა ექსპერტებს კომენტარისთვის.

დარგის ექსპერტი მედეა ზურაბიშვილი: „მე რისი დაფიქსირებაც მსურდა, უკვე დავაფიქსირე, დამადანაშაულებს ისეთ რამეში, რასაც არ ჰქონდა ადგილი, ნამდვილად ვიყავი 7-ზე კი არა, რვის ხუთ წუთზეც ვიყავი კოლეჯში და 7 საათიანი ჯგუფი ნამდვილად არ იყო და ნამდვილად უხეშად არავისთვის მიმიმართავს, ჩემს შვილებისთვისაც არ მიმიმართავს უხეშად არასოდეს და მითუმეტეს კოლეგებს, მე დაველოდები თქვენს საბოლოო გადაწყვეტილებას..“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ქალბატონ ნატალიას კომენტარისთვის.

ნატალია ბარათელი: „ქალბატონო მედეა, თქვენს მიმართ, ნამდვილად, არ ყოფილა ეს პრეტენზია და არც სტუდენტებს არ დაუფიქსირებიათ, რომ თქვენ ვინმეს უხეშად მოექცით, არც დაწესებულებას არ დაუფიქსირებია, უბრალოდ სტუდენტებს რაც ჰქონდათ პრეტენზია, თვითონ თქვენს, სტუდენტი სტუდენტია და სტუდენტს ვერ უკარნახებ, ეხლა რაც შეეხება ქალბატონ მანანას, ქალბატონო მანანა, ჩვენ დიდი ხნის კოლეგები ვართ, ნამდვილად, აქამდე ყოველთვის ვხელმძღვანელობდით სინდისის **(აქ ტექნიკური პრობლემის გამო გამოეთიშა ქალბატონი ნატალია)**, კოლეჯს აქვს ყველა რესურსი იმის, რომ თუ რამე ხარვეზი აქვს გამოსწორდეს და კოლეჯს მიეცეს საშუალება, მიიღოს ავტორიზაცია და განხორციელდეს მონიტორინგი. დიდი მადლობა და ქალბატონო მანანა, უხერხულობისთვის, ბოდიში.“

ნანა მონიავა: „მე მინდა ერთი, რაც ვთქვა, მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, მტკიცებულება, თუ საჭირო იქნება, შემიძლია ახლავე წარმოვადგინო, ქალბატონი ქეთის მიერ როდის იქნა გადაგზავნილი სტანდარტების მიხედვით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, როგორც ჩემთან, ქალბატონ მანანასთან, ასევე, ავიცენას ელექტრონულ ფოსტაზე, მტკიცებულებები, რომ მოვითხოვეთ სტანდარტის მიხედვით. რაც შეეხება ადამიანის გარდაცვალებას, იცით ეს ყველაზე მტკიცებულებების საკითხი, იმიტომ რომ, უპირველეს ყოვლისა, ძალიან კარგად იცის ყველამ, რომ ეფლოუში ვალდებულება არავის არ აქვს მატერიალური რესურსის მტკიცებულებების მოძიების და არც ის, რომ ეფლოუთი უნდა იყოს ასეთი დოკუმენტი გინდა თუ არა ატვირთული და არავის მოუთხოვია ეფლოუს წერილებთან დაკავშირებით, რეალურად მე ვსაუბრობდი იმ ქალბატონთან, თუ კიდევ სხვა რომელიმე წევრი საუბრობდა, მე არ ვიცი, მაგრამ საქმის წარმოება როგორ ხდებოდა, ამ კითხვებს მე ვსვამდი, ნამდვილად, არანაირი აღელვება არ ყოფილა, თუ რაღაც ვერ იპოვა იმ ქალბატონმა, ძალიან მშვიდად იყო საუბარი იმაზე, რომ არ არის არანაირი პრობლემა და შეეძლო წარმოედგინა, თუმცა ალბათ ეს ემოციური ფონი იყო დაწესებულებისგან და ალბათ უბრალოდ, ვერ შეიკავეს თავი, ძალიან რთული მოსასმენი იყო ეს და მე ბოდიშს ვიხდი, რომ ამაზე კომენტარი გავაკეთე, უბრალოდ მე ძალიან გამიჭირდა, დიდი მადლობა.“

საბჭოს თავმჯდომარემ ბოლო კითხვა დაუსვა ექსპერტებს, ხომ არ გამოიკვეთა ისეთი გარემოებები, რომელსაც საბჭოს შეუძლია მისცეს მეტი სივრცე, იმსჯელოს გაუმჯობესებისთვის კონკრეტულ ვადებში.

მანანა მახარაშვილმა განაცხადა, რომ რაც დღეს შოუ იქნა წარმოდგენილი, აფიქრებინებს, რომ ამის პერსპექტივა ნამდვილად არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტების კომპეტენტურობაში, პროფესიონალიზმში და პიროვნულ თვისებებში ეჭვი არასდროს შეპარვია და, რა თქმა უნდა, არც ამ კონკრეტულთან დაკავშირებით, მას აინტერესებს ექსპერტთა მოსაზრება, რამე ხომ არ არის ისეთი, რომ შესაძლებელია გაუმჯობესებაზე ვიზრუნოთ.

მანანა მახარაშვილმა განმარტა, რომ საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვა, საფრთხესთან დაკავშირებით, რელევანტური იყო, ამ რესურსით, ამ მენეჯმენტით, ამ მიდგომებით, ვერ ვიმსჯელებთ გაუმჯობესებაზე, აღნიშნა მან.

დარგის ექსპერტი თათია კაციტაძეც დაეთანხმა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვალდებულია ეს კითხვა დასვას, რადგან უნდა დარწმუნებული იყოს, რომ საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება იქნება ობიექტური, რამდენადაც, საბჭო არ არის მხარე, არც ექსპერტების და არც დაწესებულებების. საბოლოოდ ეყრდნობა დასკვნას და ზეპირ მოსმენას.

კოლეჯ ავიცენას აღმასრულებელი დირექტორი თამარ გუდავაძე: „მოგესალმებით ყველას, მე ვპირდები საბჭოს, რომ თუ იქნება მიღებული დადებითი გადაწყვეტილება, სრულ რეორგანიზაციას ჩაატარებს კოლეჯი მენეჯმენტის თვალსაზრისით.“

საბჭომ, თავმჯდომარის რეკომენდაციით, გამოიყენა სათათბირო დრო.

სათათბირო დროის გამოყენების შემდეგ (**სხდომა განახლდა 32 წუთის შემდეგ**), საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯისათვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 10

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 42-ე მუხლის მე-11 პუნქტის, 45- ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ: 406250140) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თითოეულმა წევრმა განაცხადა, რომ დიდხანს იმსჯელეს და წინააღმდეგები არიან, რომ დაწესებულებას მიენიჭოს ავტორიზაცია და საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა მათი ერთობლივი გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვა დასრულდა 14 აპრილს 16:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომ დარჩენილი 2 საკითხის განხილვა გადაეტანათ მეორე დღისთვის, რაზეც ყველა დამსწრე პირისგან, მათ შორის, საბჭოს წევრებისგან, დაწესებულებების წარმომადგენლებისგან და ექსპერტებისგან მიიღო თანხმობა.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 15 აპრილს 12 : 00 საათიდან.

15 აპრილის სხდომაზე განხილული მეორე და მესამე საკითხების (შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯისათვის „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა) განხილვაში მონაწილეთა სია:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;

გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;

ანა აროშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;

ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

გოგიტა მშვენიაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ლევან მადათოვი
- ნინო თამაზაშვილი
- ლანა გაჩეჩილაძე
- ქეთევან ღვანიძე
- თათია კაციტაძე
- ბარბარე გონაშვილი
- გიული გურგენიძე
- გიორგი ნაჭყეპია

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი

კოლეჯის დირექტორი - გარი ჩაფიძე

ხარისხის მართვის სამსახურის უზრუნველყოფის უფროსი - როზა გულისაბედაშვილი

შპს თავისუფალი ხედვის აკადემია

დაწესებულების დირექტორი - იოსებ აბესაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - ზვიად არძენაძე

მეორე საკითხი: შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯისათვის „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 10 მარტის №261661 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 24 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯში (ქ. რუსთავი, შევჩენკოს №5) „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით

დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან. დათვალიერებულ იქნა მატერიალური რესურსები. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდული გადამზადებას სწავლება-სწავლის მეთოდების, სტუდენტის შეფასებისა და სხვა მიმართულებებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - Front-end დეველოპმენტი

ექსპერტის განცხადებით, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 7 მარტის №228499 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და „საფინანსო სერვისების“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება 40 პროფესიულ სტუდენტზე. კოლეჯი ასევე ახორციელებს ერთ პროფესიულ მომზადების პროგრამას „რეგიონული ტურისტული მეგზური“.

კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, შრომის ბაზართან ადაპტირებული, ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. მისიის ფარგლებში შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის” თანახმად, კოლეჯს დაგეგმილი აქვს შრომის ბაზრისთვის აქტუალური და მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დამატება. 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, კოლეჯმა პროგრამის დაგეგმვისას გაითვალისწინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს მიერ 2024 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი, ასევე განახორციელა ვიზიტები რუსთავის საჯარო სკოლებში, ჩაატარა გამოკითხვა და მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ შემუშავდა მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი და წარედგინა კოლეჯის დირექტორს. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ბრძანება და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 7 მარტის №228499 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და „საფინანსო სერვისების“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

განხორციელების უფლება 40 პროფესიულ სტუდენტზე. კოლეჯი ასევე ახორციელებს ერთ პროფესიულ მომზადების პროგრამას „რეგიონული ტურისტული მეგზური“. კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, შრომის ბაზართან ადაპტირებული, ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. მისიის ფარგლებში შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის” თანახმად, კოლეჯს დაგეგმილი აქვს შრომის ბაზრისთვის აქტუალური და მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დამატება. 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, კოლეჯმა პროგრამის დაგეგმვისას გაითვალისწინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს მიერ 2024 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი, ასევე, განახორციელა ვიზიტები რუსთავის საჯარო სკოლებში, ჩაატარა გამოკითხვა და მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ შემუშავდა მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი და წარედგინა კოლეჯის დირექტორს. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ბრძანება და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტის განცხადებით, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. პროგრამის მიზნებისათვის გამოყოფილია (A და BC სასწავლო გარემო) 20 პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

პროფესიული პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის კოლეჯს განსაზღვრული აქვს 1 აუდიტორია 20 პროფესიული სტუდენტისათვის სადაც გათვალისწინებულია შემდეგი რესურსები:

- სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) 20 პროფესიული სტუდენტისათვის;
- მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი);
- 21 კომპიუტერი - პროცესორის ტიპი i3 - 6100, ოპერატიული მეხსიერება: DDR4 8GB - 2400hz, მყარი დისკი SSD Kingstone 240GB, 24 ინჩიანი დიაგონალის მონიტორით;
- პროექტორი;
- პრინტერი (კომპაინი);
- ფლემ მეხსიერება;
- დაფა;

ასევე ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

ექსპერტის განცხადებით, „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯში გამოყოფილია ერთი B/C (აუდიტორია No815) 20 პროფესიული სტუდენტისთვის, ერთი ლაბორატორია C გარემო (აუდიტორია No808) და სპორტული დარბაზი. თითოეული გარემო აღჭურვილია სათანადო მატერიალური რესურსით „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ინტეგრირებული მოდულისთვის შესაბამისი ლაბორატორია, „სპორტის“ მოდულისთვის გარემო სათანადო სპორტული ინვენტარით და სხვა). კოლეჯის მატერიალური რესურსი იძლევა პროგრამის იმიტირებულ გარემოში განხორციელების

შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია, ჩუქების, მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე ვიზუალურად დათვალიერებულ იქნა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსი.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებლ მოდულებს, მათი პირადი საქმეებით დასტურდება შესაბამისი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რის საფუძველზე გაიცა განმავითარებელი შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდულ გადამზადებასთან დაკავშირებით.

ექსპერტ ლევან მადათოვის განცხადებით, აღნიშნული განმავითარებელი რეკომენდაცია არ ეხებოდა ინტეგრირებული მიდგომით განსახორციელებლ მოდულებს. მისი თქმით, მასწავლებლებს რომლებიც სკოლაში მუშაობენ ჰქონდათ შეფასების გამოცდილება, უბრალოდ სპეციფიკა პროფესიულ განათლებაში იყო განსხვავებული. რაც შეეხება დარგის მიმართულებით, ერთ პედაგოგს ჰქონდა უშუალოდ პროფესიული მიმართულებით სწავლების გამოცდილება, ხოლო მეორეს ნაკლებად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტებს დადებითი შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯისთვის „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე, 62-ე მუხლების შესაბამისად, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯს (ს/კ: 406308687) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,

რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 1).

მესამე საკითხი: შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძეს, შპს თავისუფალი ხედვის აკადემიასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

სხდომის თავმჯდომარედ ამ საკითხის განხილვისას განისაზღვრა თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 თებერვლის N113622 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 24, 25 და 26 თებერვალს განხორციელდა

ვიზიტი შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში (მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N50). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ხელმძღვანელს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. განხორციელდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტებზე. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

II სტანდარტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები

2.1.1.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე აკადემიის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საფინანსო სერვისები. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეყრდნობა ჩარჩო დოკუმენტის 2017 წლის რედაქციას. ზემოაღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში უკანასკნელი ცვლილება განხორციელდა 11.03.2021 წელს. შეიცვალა შემდეგი საკითხები: მოდულის საღაროს ოპერაციების განხორციელება - 3, 4, 5 - სწავლის შედეგების შეფასების მიმართულება შეიცვალა და განისაზღვრა -პრაქტიკული დავალება დაკვირვებით. მოდულის - „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ მე-4 სწავლის შედეგის შეფასების მიმართულება შეიცვალა და განისაზღვრა-- „პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“. მოდულის - „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ პირველი სწავლის შედეგის შეფასების მიმართულება შეიცვალა და განისაზღვრა „პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში არ არის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

2.2.

2. იმისათვის რომ დაწესებულებამ განახორციელოს „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მან უნდა მოაწყოს დამატებით B გარემო. მიმდინარე წარმოების ფარგლებში მოწყობილი გარემოები სრულად ათვისებულია სხვა პროგრამებისთვის. შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- საექთნო განათლება

2.1.1

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე აკადემიის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საფინანსო სერვისები. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეყრდნობა ჩარჩო დოკუმენტის 2018 წლის 21 მაისის რედაქციას. ზემოაღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში უკანასკნელი ცვლილება განხორციელდა 15.09.2021წელს. შეიცვალა შემდეგი საკითხები: ჩარჩო დოკუმენტიდან ამოღებულ იქნა მე-13 პუნქტი. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე მოდულში "ინფექციის

კონტროლის საფუძვლები" (ს/ნ 0910904) მეოთხე სწავლის შედეგი „საექთნო საქმის წარმოებისას უსაფრთხო ინფექციის პრაქტიკის განმარტება“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით „საექთნო საქმის წარმოებისას უსაფრთხო ინექციის პრაქტიკის განმარტება“. ამავე სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმებში ნაცვლად „4. სწორად განსაზღვრავს ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპებს“ ჩაიწერა „4. სწორად განსაზღვრავს ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპებს“. ასევე, აღნიშნული სწავლის შედეგის კომპეტენციის პარამეტრების ფარგლებში „ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპების“ ნაცვლად განისაზღვრა „ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპები“. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში არ არის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

2.2.1

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „საექთნო განათლება“ განსაზღვრულია 17 (ჩვიდმეტი) პროფესიული მასწავლებელი, მათგან ყველა პირი განახორციელებს თეორიულ მოდულებს აკადემიის სივრცეში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ სცდება კვირაში 40 საათს. დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების/ ინსტრუქტორების მიახლოებითი/წინასწარი რაოდენობა. ასევე, არ არის განსაზღვრული კლინიკური მოდულების განმანხორციელებელი პირების კვალიფიკაცია. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მოცემულია პრაქტიკის განმახორციელებლის ვალდებულებები. სადაც აღნიშნულია რომ პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია აკადემიას მიაწოდოს პრაქტიკის პროცესში ჩართული პირის შესახებ ინფორმაცია, რათა აკადემიამ გააფორმოს ხელშეკრულება. თუმცა დაწესებულების მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი ვერანაირი სახის (შრომის წინარე, შრომის, მომსახურების) ხელშეკრულება და ვერც ინსტრუქტორთა სავარაუდო სია და რაოდენობა. რაც ექვეშე აყენებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას პრაქტიკულ კომპონენტში. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის/პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით (გასაუბრება შედგა 3 მასწავლებელთან). პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების გამოცდილება. მასწავლებლები რომლებთანაც გასაუბრება განხორციელდა აღნიშნეს რომ ისინი პარალელურად ასწავლიან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. რაც შეეხება პრაქტიკული მოდულების განმახორციელებლებს მათი ვინაობა და კვალიფიკაცია ვერ დგინდება ვერც სასწავლო დაწესებულებაში და ვერც პრაქტიკის ობიექტზე დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების, ასევე პერსონალთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ თეორიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა იგივე საკითხის შეფასების შესაძლებლობა არ ჰქონიათ ექსპერტებს პრაქტიკული მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

4. პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელმძღვანელი, თუმცა მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის დებულების მიხედვით „პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.“ დაწესებულების მიერ შერჩეული პროგრამის ხელმძღვანელი არის დიპლომირებული მედიკოსი, მის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება ე.ი-ს საექთნო პრაქტიკა/კვალიფიკაცია. CV-ში მითითებულია, რომ რამდენიმე თვე მუშაობდა ექთნად, თუმცა ვერ მოხერხდა სამუშაო ადგილიდან ცნობის წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს მის კომპეტენციას საექთნო მიმართულებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ე.ი ვერ შეძლებს უხელმძღვანელოს საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. გარდა ამისა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ის წარმოადგენს აკადემიაში იკავებს ექიმის პოზიციას, რომელის დატვირთვაც მოითხოვს სრულ განაკვეთურ სამუშაოს. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

5. ვიზიტის დროს გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. შემოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა, თუმცა (მაგ. ადამიანის ანატომია ზ. კაციტაძის რედაქციით) ვერ მოიძებნა ვერც მყარ მატარებელზე და ვერც ელექტრონულად. გარდა ამისა ელექტრონულად წიგნების მოძიება გართულებულია სუსტი ინტერნეტის პირობებში, რაც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით განპირობებულია, იმით, რომ ჯერ აკადემია ავტორიზაციის მიღების პროცესშია და სრული დატვირთვით აღნიშნული სერვისის შეძენა საჭიროებას არ წარმოადგენს. შესაბამისად დადგინდა რომ მოდულებში მითითებული რესურსი არ არის ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით, შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

I სტანდარტი

1.2.1

1. დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულ წესში „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ გაწერილია მხოლოდ სტრატეგიულ გეგმის შედგენის, მისი მონიტორინგისა და შეფასების საკითხები. წესი არ ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მასში არ იკვეთება ვინ არის სამოქმედო გეგმის შეგენაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, რა პერიოდულობით ხდება გეგმის მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება. როგორ ხდება მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით როგორ ხორციელდება რეაგირება და ინფორმაციის საჯაროობა. შესაბამისად, დაწესებულებაში ვიზიტისას, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დახვეწას და მასში სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და

შეფასების მექანიზმების გაწერას. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 3 ივლისის N01/23 ბრძანებით დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის სტრატეგიული გეგმა (ციკლური). რომელიც არ მოიცავს მიზნის შესაბამის ამოცანებს, მის ნაცვლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს აქტივობები. შესაბამისად, მიზნის მიღწევის გზები ბუნდოვანია. აქტივობების გრაფაში გაწერილი აქტივობების უმეტესი ნაწილი არ არის მიზნის მიღწევისთვის საჭირო ინსტრუმენტი და არ იძლევა სამოქმედო ინსტრუქციას. მაგალითად: პირველი სტრატეგიული მიზანია - მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განვითარება . აღნიშნული მიზნის მე- 8 აქტივობად განსაზღვრულია - „ 1.1.8. ბიუჯეტის პროექტი“, „ 2.4.3. მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადების პროცესი“, „3.1.2 ვებ-გვერდის უწყვეტი ადმინისტრირება“. ზოგიერთ აქტივობად განსაზღვრულია მიზნის მიღწევის ინდიკატორი, რომელიც იმეორებს „ინდიკატორები და გადამოწმების საშუალებში“ მოცემულ შედეგებს. მაგალითად „ 1.2.4. - გაზრდილია და აკადემიას გააჩნია დამატებითი სასწავლო ფართი და პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი“, „1.2.4. გაზრდილია და აკადემიას გააჩნია დამატებითი სასწავლო ფართი და პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი“, „2.3.2. შემუშავებულია თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობები“, „2.4.1 შემუშავებულია თანამშრომელთა კომპეტენციის ამაღლების გეგმა“, „2.4.2. მოძიებულია რესურსები გადამზადების გეგმის განხორციელებისათვის“ და ა.შ.

სტრატეგიულ გეგმაში არ არის მითითებული სტრატეგიული მიზნისა და აქტივობების შესრულების ვადები და განხორციელების პერიოდად ძირითადად მითითებულია „ მიმდინარე საქმიანობა“ „სისტემატიურად“ და „საჭიროებიდან გამომდინარე“, რაც შეუძლებელს ხდის განისაზღვროს როდის, რა პერიოდში უნდა შესრულდეს ესა თუ ის აქტივობა. სამოქმედო გეგმაში გაწერილი დასახელებები არ შეესაბამება შინაარსს, არის ბუნდოვანი და შეცდომაში შემყვანი, მაგალითად, ბუნდოვანია რისი დასახელება იგულისხმება, ასევე გაუგებარია „პროგრამაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა იგულისხმება თუ სხვა რამ. სამოქმედო გეგმის „დასახელებაში“ მოცემული აქტივობები არ გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, მაგალითად „ პროფესიულ სტუდენტთა ელექტრონული სარეგისტრაციო პროგრამის შექმნა“, „ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარების პროგრამა“, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა“ და ა.შ. ვინაიდან სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნისა და აქტივობების შესრულების ვადები უცნობია, შესაბამისად შეუძლებელია სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს კონკრეტული წლისთვის შესასრულებელი აქტივობები. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმაში მოცემული აქტივობების უმრავლესობა არ იძებნება სტრატეგიული გეგმაში. დასაზუსტებელია სამოქმედო გეგმაში მოცემული შესრულების ვადები, ყველა აქტივობის პერიოდი განსაზღვრულია 2024-2025 წელს, აღნიშნულის მიხედვით დაწესებულებისთვის რთულია სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის შედგენისას განსაზღვროს რა უნდა შესრულებულიყო კონკრეტული დროისთვის. რა შესრულდა და რომელი ამოცანის შესრულება გადავადდა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით,

დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს „თავისუფალი ხედვის აკადემიის სტრატეგიული გეგმაში (ციკლური) ცვლილებების განხორციელებას და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

1.2.2

1. დაწესებულების ხელმძღვანელის 22.04.2024 წლის N 01/15 ბრძანებით დამტკიცებულ წესში, „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ გაწერილი არ არის სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მასში არ იკვეთება ვინ არის სამოქმედო გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, რა პერიოდულობით ხდება გეგმის მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება. როგორ ხდება მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით როგორ ხორციელდება რეაგირება და ინფორმაციის საჯაროობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დახვეწას და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად მითითებული მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დაწესებულებამ. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ წესში არ არის გაწერილი როგორ ხდება სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობა, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებული უნდა იქნას დაინტერესებულ მხარეებთან. დაწესებულებას არ აქვს გაწერილი თუ რა გზით მოახდენს ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ წარმოუდგენია სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, აღნიშნული დოკუმენტი არ არის განთავსებული ვებ გვერდზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დახვეწას და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

III სტანდარტი

3.2.1

1. დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის N01/11 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, სადაც მე -7 მუხლში გაწერილია შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა. ინფორმაცია შეფასების თაობაზე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეფასების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ხოლო, პროფესიული სტუდენტს შეფასების შედეგს აცნობს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ინდივიდუალურად. დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, დამატებითი კონსულტირების ვადები და კონსულტაციის ფორმა. ასევე განსაზღვრული არ არის მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი ან სხვა სტრუქტურული ერთეულისაგან ან სხვა სტუდენტებისაგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება პროფესიულ სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინფორმირების საკითხები დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი

შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება პროფესიულ სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინფორმირების საკითხები დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ვინაიდან აღნიშნული წარმოება ემსახურება დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების პრაქტიკულად ნახვა შეუძლებელია, შესაბამისად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება პროფესიულ სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინფორმირების საკითხები დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. დაწესებულების მიერ შემუშავებულია საქმისწარმოების დებულება, რომელიც დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის 01/1 ბრძანებით. დაწესებულების დებულებით გაწერილია კოლეჯის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერის ფუნქცია მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტები, თუმცა არც ზემოაღნიშნულში და არც სხა დოკუმენტში არ იძებნება პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები. როგორ ხორციელდება ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, რა ვადაში და ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნულ საკითხებზე და ა.შ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის 01/1 ბრძანებით დამტკიცებულ საქმისწარმოების წესში ცვლილებების შეტანას ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4. დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ 2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, აღნიშნული წესის 22-ე მუხლში მოცემულია ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა კლუბის შექმნის შესაძლებლობის მისი როლისა და ფუნქციის შესახებ, თუმცა აღნიშნული ვერ ფარავს ინდიკატორის მოთხოვნას. დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს (მაგ: რამდენი ინიციატივის მხარდაჭერა შეუძლია წლის განმავლობაში და რის მიხედვით იქნება გადარჩეული შემოსული წინადადებები), დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები და ა.შ. როგორც ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესებში ცვლილებების შეტანას, ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების შესაბამისად აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3.2.2

1. დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმები, ვინაიდან აღნიშნული წარმოება ემსახურება დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების პრაქტიკულად ნახვა შეუძლებელია, შესაბამისად, როგორც ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს კარიერული მომსახურების კვლევის ადმინისტრირების, პერიოდულობის და მიღებული შედეგების

თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ შესწავლილ იქნა 2022 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი და უნარების საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, ასევე თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ პროფორიენტაციული აქტივობების განხორციელების დროს ისანი - სამგორის რაიონში 23 საჯარო სკოლაში განხორციელდა 1500 მეტი მოსწავლის გამოკითხვა მათთვის სასურველი პროგრამის არჩევის მიზნით, აღნიშნული კვლევების და გამოკითხვის მიხედვით „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროგრამა მოთხოვნადია და მომზადებული კადრები მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“-ში, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის #01/13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს, პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის 01/13 ბრძანებით დამტკიცებულია „აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“. აღნიშნული წესი თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის #42/ნ ბრძანებასთან „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ამზადებს პროფესიულ სტუდენტებს, კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადში მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 -ს თუმცა ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება, ასევე შესწავლილი იქნა მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტები. შპს. თავისუფალი ხედვის აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ბუღალტრული აღრიცხვა“ განახორციელებს თბილისში, თრიალეთის ქუჩა N 50 .

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ მოიცავს 16 პროფესიულ და 3 ზოგად მოდულს. დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის საჭიროა ბუღალტრული ელექტრონული პროგრამის გამოყენება, შესაბამისად ზემოაღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ესაჭიროება B გარემო. B გარემოში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებში ჩატვირთულია (ORIS) პროგრამა (20 ერთეული (20+1), პრინტერითა და პროექტორით. სასწავლო გეგმის მიხედვით, აღნიშნული მოდულების საკონტაქტო საათები მერყეობს 20 დან 30 საათამდე. რაც შეეხება პროგრამის განმახორციელებელ პირებს, დარგობრივი მოდულებისთვის განსაზღვრულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის დანართი 2-ის მიხედვით, 6 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელია თითო განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას მოწყობილი აქვს სამი 20 ადგილიანი B გარემო, აქედან 1 B გარემოს(მეორე სართულზე) საჭიროა მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამისთვის. დაწესებულება შეძლებს 2 ცვლაში ა 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“, არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიექტზე, სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები

კოლეჯს გააჩნია ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, მის: თრიალეთის ქ. N 50, სადაც განთავსებულია A, B/C სასწავლო გარემოები. დაწესებულების A ტიპის გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გათვლილია 12 პროფესიულ სტუდენტზე. B ტიპის სასწავლო გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე (20 კომპიუტერით, მონიტორით, პრინტერით). დაწესებულებას მოწყობილი აქვს სულ 3 B გარემო. მათგან 1 B გარემო საჭიროა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისათვის. 1 B გარემო საჭიროა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელებისათვის. ხოლო მესამე B გარემო ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ეს უკანასკნელი განსაზღვრულია ასევე ზოგადი მოდულისთვის „ინფორმაციული წიგნიერება“. საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 13 პროფესიულ მოდულს, რომელთა განხორციელებისათვის საჭიროა ელექტრონულ სისტემაში მუშაობა.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „თიბისი ბანკ“-თან. ხელშეკრულება- N37/მ გაფორმებულია 2024 წლის 6 აგვისტოს და მოქმედებს 6 წლის ვადით. ორგანიზაცია გამოთქვამს მზადყოფნას, საფინანსო სერვისების პროფესიული სადიპლომო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფის მიზნით 1 წლის განმავლობაში მიიღოს საფინანსო სერვისების 60 პროფესიული სტუდენტი. მხარეთა თანამშრომლობის მიზანი ბევრ სხვა მიზანთან ერთად არის პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის უზრუნველყოფა, თუმცა აღნიშნული სტუდენტებიდან კონკრეტული სტუდენტის შერჩევას შემდგომი პრაქტიკის განხორციელების მიზნით ახორციელებს ბანკი. ასევე ერთ-ერთი მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებას აქვს თანამშრომლობის ფარგლები, შესაბამისად ორგანიზაცია არარის ვალდებული შეარჩიოს და პრაქტიკით უზრუნველყოს სტუდენტები, თუმცა ვალდებულია ითანამშრომლოს აკადემიასთან. სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები, კრედიტების ოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და სხვა დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სასწავლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში მიეწოდება ორგანიზაციას. ხელშეკრულებას არ ახლავს ინფორმაცია პრაქტიკის

ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების შესახებ. აკადემიას პროფესიული მოდულების ფარგლებში მე-2 პარტნიორი ჰყავს „ტერაბანკი“, რომელთან დადებული ხელშეკრულება N371/მ გაფორმებულია 2024 წლის 8 აგვისტოს და ძალაშია მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ბანკი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკით, თუმცა ხელშეკრულებაში არ არის მითითებული რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია ბანკს პრაქტიკის მიზნებისთვის. „ტერაბანკთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, სადაც მითითებულია ის მოდულები-გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც ითანამშრომლებენ აკადემია და „ტერაბანკი“. პროგრამის ფარგლებში მესამე პარტნიორი ობიექტია მაღაზია- შპს „ჰიდროსკანდ“. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია ხელშეკრულება N22/მ, რომელიც გაფორმებულია 2020 წლის 24 ივნისს და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ფარგლებში მოინახულეს პრაქტიკის ობიექტი შპს „ჰიდროსკანდ“, რომელშიც წესით ხდება პროფესიული მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“-ს პრაქტიკული ნაწილის განხორციელება, თუმცა ხელშეკრულებას არ ახლავს დანართი, სადაც მითითებული იქნება შესაბამისი პროფესიული მოდული. ექსპერტებს ადგილზე დახვდათ პერსონალი, რომელთაც ისაუბრეს ადგილზე შესაძლო პრაქტიკული ნაწილის განხორციელების, პირობების და გამტარუნარიანობის შესახებ, გასაუბრებისას გაირკვა რომ მისამართზე: ბალანჩინის ქ. N30 ერთდროულად, ერთ ცვლაში შეუძლიათ მაქს. 4 პროფესიული სტუდენტის მიღება, ჯამში დღიურად მინ. 2 ცვლა, ასევე აღნიშნეს, რომ ჯამში 4 ფილიალი აქვთ თბილისის მასშტაბით, თუმცა ხელშეკრულების შესრულების ადგილად მხოლოდ 1 კონკრეტული მისამართი ფიქსირდება. ასევე აღნიშნული პროფესიული მოდულის ფარგლებში 1 პრაქტიკის ობიექტის არსებობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო გეგმა შედგენილი იყოს იმგვარად, რომ აღნიშნული მოდულის გავლის პარალელურად არ იყოს დაგეგმილი სხვა მოდულების განხორციელება, რადგან ფიზიკურად შეუძლებელი იქნება პრაქტიკის პარალელურად ლექციებზე დასწრება, ლოკაციიდან და პრაქტიკის დროიდან გამომდინარე. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იყო შპს „ალტა სოფთვეართან“ 2024 წლის 13 ივნისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი N13062024-01, N16/მ. მემორანდუმის მიზანია სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად კომპანიის მხრიდან ხელშეწყობა და თანამშრომლობა წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში სასწავლო დაწესებულების, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობა და პროფესიული განათლების განვითარება. მემორანდუმის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელმოწერის მომენტიდან 3 წლის ვადით.

რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს/აღჭურვილობას, რომელიც პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა დანარჩენი მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება, დაწესებულებაში ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი და ძირითადი მათგანის არსებობა დადასტურდა. მათ შორის იყო: ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი, ფულის სათვლელი მანქანა, საინკასაციო ჩანთის მულაჟი, შტამპები, გამომთვლელები, ლუპა, ფულის მულაჟები. დადასტურდა საბანკო სატესტო პროგრამის ფლობა, როგორც ალტასთან გაფორმებული მემორანდუმით, ისე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე გადამოწმებით. მატერიალური რესურსის დათვალიერებისას ყველა კომპიუტერში ჩატვირთული იყო ალტას სატესტო პროგრამა. აღნიშნული მატერიალური რესურსები განთავსებულია B გარემოში რომელიც განსაზღვრულია კომპიუტერული ქსელისა და სისტემებისათვის. აღნიშნული გარემო დატვირთულია სრულად ორ ცვლაში და ვერ უზრუნველყოფს საფინანსო სერვისების დარგობრივი მოდულების განხორციელებას. იმისათვის რომ დაწესებულებამ განახორციელოს

„საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მან უნდა მოაწყოს დამატებით B გარემო. მიმდინარე წარმოების ფარგლებში მოწყობილი გარემოები სრულად ათვისებულია სხვა პროგრამებისთვის. შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილების No416 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება, ხოლო მე- 11 პუნქტის მიხედვით, „პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება“.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში არ იძებნება ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ, შესაბამისად აკადემიის შეფასების სისტემა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის და მთლიანობაში სტანდარტი/პროგრამა უარყოფითად არის შეფასებული.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუმჯობესების წესის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე აკადემიის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საფინანსო სერვისები. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეყრდნობა ჩარჩო დოკუმენტის 2018 წლის 21 მაისის რედაქციას. ზემოაღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში უკანასკნელი ცვლილება განხორციელდა 15.09.2021წელს. შეიცვალა შემდეგი საკითხები: ჩარჩო დოკუმენტიდან ამოღებულ იქნა მე-13 პუნქტი. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და

განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე მოდულში "ინფექციის კონტროლის საფუძვლები" (ს/ნ 0910904) მეოთხე სწავლის შედეგი „საექთნო საქმის წარმოებისას უსაფრთხო ინფექციის პრაქტიკის განმარტება“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით „საექთნო საქმის წარმოებისას უსაფრთხო ინექციის პრაქტიკის განმარტება“. ამავე სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმებში ნაცვლად „4. სწორად განსაზღვრავს ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპებს“ ჩაიწერა „4. სწორად განსაზღვრავს ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპებს“. ასევე, აღნიშნული სწავლის შედეგის კომპეტენციის პარამეტრების ფარგლებში „ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპების“ ნაცვლად განისაზღვრა „ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპები“. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში არ არის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „საექთნო განათლება“ განსაზღვრულია 17 (ჩვიდმეტი) პროფესიული მასწავლებელი, მათგან ყველა პირი განახორციელებს თეორიულ მოდულებს აკადემიის სივრცეში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ სცდება კვირაში 40 საათს.

დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების/ ინსტრუქტორების მიახლოებითი/წინასწარი რაოდენობა. ასევე, არ არის განსაზღვრული კლინიკური მოდულების განმანხორციელებელი პირების კვალიფიკაცია. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მოცემულია პრაქტიკის განმახორციელებლის ვალდებულებები. სადაც აღნიშნულია რომ პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია აკადემიას მიაწოდოს პრაქტიკის პროცესში ჩართული პირის შესახებ ინფორმაცია, რათა აკადემიამ გააფორმოს ხელშეკრულება. თუმცა დაწესებულების მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი ვერანაირი სახის (შრომის წინარე, შრომის, მომსახურების) ხელშეკრულება და ვერც ინსტრუქტორთა სავარაუდო სია და რაოდენობა. რაც ექვემდებარება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას პრაქტიკულ კომპონენტში. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის/პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით (გასაუბრება შედგა 3 მასწავლებელთან). პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების გამოცდილება. მასწავლებლები რომლებთანაც გასაუბრება განხორციელდა აღნიშნეს რომ ისინი პარალელურად ასწავლიან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

რაც შეეხება პრაქტიკული მოდულების განმახორციელებლებს მათი ვინაობა და კვალიფიკაცია ვერ დგინდება ვერც სასწავლო დაწესებულებაში და ვერც პრაქტიკის ობიექტზე დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების, ასევე პერსონალთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ თეორიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა იგივე საკითხის შეფასების შესაძლებლობა არ ჰქონიათ ექსპერტებს პრაქტიკული მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელმძღვანელი, თუმცა მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის დებულების მიხედვით „პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.“ დაწესებულების მიერ შერჩეული პროგრამის ხელმძღვანელი არის დიპლომირებული მედიკოსი, მის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება ე.ი-ს საექთნო პრაქტიკა/კვალიფიკაცია. CV-ში მითითებულია, რომ რამდენიმე თვე მუშაობდა ექთნად, თუმცა ვერ მოხერხდა სამუშაო ადგილიდან ცნობის წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს მის კომპეტენციას საექთნო მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ე.ი ვერ შეძლებს უხელმძღვანელოს საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. გარდა ამისა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ის წარმოადგენს აკადემიაში იკავებს ექიმის პოზიციას, რომელის დატვირთვაც მოითხოვს სრულ განაკვეთურ სამუშაოს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

ვიზიტის დროს გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. შემოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა, თუმცა (მაგ. ადამიანის ანატომია ზ. კაციტაძის რედაქციით) ვერ მოიძებნა ვერც მყარ მატარებელზე და ვერც ელექტრონულად. გარდა ამისა ელექტრონულად წიგნების მოძიება გართულებულია სუსტი ინტერნეტის პირობებში, რაც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით განპირობებულია, იმით, რომ ჯერ აკადემია ავტორიზაციის მიღების პროცესშია და სრული დატვირთვით აღნიშნული სერვისის შეძენა საჭიროებას არ წარმოადგენს. შესაბამისად დადგინდა რომ მოდულებში მითითებული რესურსი არ არის ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით, შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ რეგულირდება სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ ინფორმაცია, როგორ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს

უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილების №416 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება, ხოლო მე-11 პუნქტის მიხედვით, „პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება“. დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში არ იძებნება ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ, შესაბამისად აკადემიის შეფასების სისტემა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის და მთლიანობაში სტანდარტი/პროგრამა უარყოფითად არის შეფასებული.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგია

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტით ვგებულობთ, რომ ინფორმაციის ტექნოლოგია - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდა, ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროში. პროგრამა უზრუნველყოფს: პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; ასევე სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნას, კურსდამთავრებული გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. თანამედროვე ცხოვრებისა და მუშაობის ყველა ასპექტში ტექნოლოგიების მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დღევანდელ ციფრულ ეპოქაში, საინფორმაციო ტექნოლოგიები გახდა სხვადასხვა ინდუსტრიის განუყოფელი ნაწილი, რაც საჭიროებს მუშახელს, რომელიც კარგად ფლობს როგორც ტექნიკის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერას. მოთხოვნა IT სპეციალისტებზე აგრძელებს ზრდას, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიების სწრაფი წინსვლის, კიბერუსაფრთხოების საფრთხეების ზრდისა და ბიზნესის მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციის გამო. ამ პროგრამის დამატებით, აკადემია მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ადგილობრივი სამუშაო ბაზრის მოთხოვნილებები, აღჭურვონ სტუდენტები აუცილებელი ტექნიკური უნარებითა და ცოდნით, რომლებიც საჭიროა საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის როლში წარჩინებისთვის. გარდა ამისა, პროგრამა შეესაბამება საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ ბაზარზე. თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ შესწავლილ იქნა 2022 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი და უნარების საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, ასევე თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ პროფორიენტაციული აქტივობების განხორციელების დროს ისანი - სამგორის რაიონში 23 საჯარო სკოლაში განხორციელდა 1500 მეტი მოსწავლის გამოკითხვა მათთვის სასურველი პროგრამის არჩევის მიზნით, აღნიშნული კვლევების და გამოკითხვის მიხედვით „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროგრამა მოთხოვნადია და მომზადებული კადრები მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან. ექსპერტთა შეფასებით, ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პსდ-ს მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ინფორმაციის ტექნოლოგია“ თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტის დასახელებასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

შპს თავისუფალი ხედვის აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განახორციელებს თბილისში არსებულ შენობაში, რომელიც მდებარეობს სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50 . პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა შეადგენდა - 80 პროფესიულ სტუდენტს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს B გარემო, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით, შესაბამისი მონაცემების მქონე კომპიუტერებით, რომელიც ასევე უზრუნველყოფილია პროგრამულად. B გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 20 პროფესიულ სტუდენტზე, 21 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 დემონსტრირების საშუალება და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). B გარემოში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა (20 ერთეული (20+1), პრინტერითა და პროექტორით. ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიექტზე, პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. პროგრამის სპეციფიკა საჭიროებს უმეტესად B გარემოს სრულად. აკადემიას სულ სამი B გარემო აქვს. ამ პროგრამის გარდა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამასაც სრულად B გარემო ჭირდება, მესამე B რჩება სხვა ყველა პროგრამისთვის. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროგრამებისთვის ორი B გარემო მდებარეობს აკადემიის მესამე სართულზე, თითო 20 ადგილით და შესაძლებელია თითო პროგრამაზე 2 ცვლიანი სწავლების შემთხვევაში 2 ჯგუფის მიღება ანუ პროგრამის ფარგლებში სულ 40 პროფესიული სტუდენტი. პროგრამა მოიცავს მხოლოდ 5 მოდულის, რომელიც არ საჭიროებს კომპიუტერულ კლასს, თუმცა ვინაიდან თეორიული სწავლებისთვის A გარემოები 12 ადგილიანია ეს მოდულებიც განხორციელდება B გარემოში, ვინაიდან ერთდროულად 20 პირი იყოს ჯგუფში.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ რეგულირდება სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ ინფორმაცია, როგორ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის

საბალო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს სსსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესში ცვლილებების შეტანას და სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ მექანიზმების გაწერას.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებული, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“-ში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი დაწესებულება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულია 1 B გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მონაცემების მქონე კომპიუტერებითა და სამუშაო ადგილით 20 პროფესიული სტუდენტისთვის. რაც შეეხება ზოგად მოდულებს, პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს. თუკი დაწესებულება აღნიშნულ მოდულებსაც განახორციელებს B გარემოში. აკადემიას შეუძლია მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში. ჯამში 40 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის დარგობრივი მოდულებისთვის განსაზღვრულია 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისად მათი რაოდენობა საკმარისი იქნება მხოლოდ 2 ჯგუფისთვის. აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტით ვგებულობთ, რომ კომპიუტერული ქსელი და სისტემების - პროგრამის მიზანია, დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი

გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ რეგულირდება სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ ინფორმაცია, როგორ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს სსსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესში ცვლილებების შეტანას და სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ მექანიზმების გაწერას. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებული, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“-ში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი დაწესებულება.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების

შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილების №416 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება, ხოლო მე-11 პუნქტის მიხედვით, „პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება“.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში არ იძებნება ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ, შესაბამისად აკადემიის შეფასების სისტემა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ექსპერტებმა ასევე წარუდგინეს საბჭოს წევრებს დაწესებულების მატერიალური რესურსების ფოტო-მასალა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტ ნინო თამაზაშვილს კითხვით, სამომავლოდ სტანდარტების მეტწილი შესრულება რა ზეგავლენას მოახდენდა სტუდენტებზე. ასევე, რამდენად იყო შესაძლებელი ჩათვლილიყო პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება მდგრად საფუძველად, რომ ხარისხიანად წარმართულიყო სასწავლო პროცესი.

ნინო თამაზაშვილის განცხადებით, ყველა სტანდარტი ერთმანეთთან შინაარსობრივ და სტრუქტურულ კავშირში იყო, თუ სწორად არ დაიგეგმებოდა მენეჯმენტის მიერ სასწავლო პროცესი, სასწავლო პროცესის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. მისი თქმით, დაწესებულებაში პერსონალის შერჩევისა და გადამზადების საჭიროება იდგა. პირველი სტანდარტი აუცილებლად შესრულებული და დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო, მისი განმარტებით, ასევე, ყველა სტანდარტის შესრულება კავშირში იყო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიან განხორციელებასთან. რაც შეეხება პერსონალის კვალიფიკაციასა და პროფესიულ განვითარებას, მისი თქმით, ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ ადმინისტრაციულ პერსონალს. ორი პირის კვალიფიკაცია ექსპერტებმა დააყენეს ეჭვქვეშ, რომლებიც იყვნენ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელნი, თუმცა ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ყველა კითხვაზე და პროცესზე, მას ჰქონდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოცდილება. ექსპერტის განმარტებით, ხელმძღვანელს ჰქონდა უნარი რომ შეერჩია კვალიფიციური კადრები და დაეგეგმა სასწავლო პროცესი, ისე რომ საფრთხე არ შექმნოდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

საბჭოს წევრმა ნათია ბუთხუზმა მიმართა ექსპერტებს კითხვით, მაშინ როდესაც სასწავლო პროცესის დაწყებამდე დარჩენილი იყო დაახლოებით 5 თვე, შესაბამისობის გეგმა იყო საკმაოდ მძიმე დასაძლევად, რამ მისცათ ექსპერტებს იმის საფუძველი, რომ დაწესებულება შეძლებდა სტუდენტების მიღებას, მაშინ როდესაც მეორე სტანდარტთან მიმართებაშიც საკმაოდ სერიოზული ხარვეზები ჰქონდა დაწესებულებას.

ნინო თამაზაშვილის განცხადებით, აღნიშნულის გარანტიას, რომ დაწესებულება 6 თვეში შეასრულებდა გაცემულ რეკომენდაციებს, ვერ გაცემდა, თუმცა ის რომ დაძლევადი და შესრულებადი იყო დაადასტურა.

ასევე ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ დაწესებულებას ფუნქცია-მოვალეობები დარეგულირებული ჰქონდა დებულებაში, აქ საუბარი იყო სტრუქტურულად ამის გამოხატულებაზე, ურთიერთდაქვემდებარებაზე. რაც შეეხება მზაობას და შესაძლებლობას მისთვის ერთი მიმანიშნებელი დეტალი იყო, რომ ვიზიტის დროს, როდესაც ექსპერტებმა დათვალეს ყველა პროგრამის გამტარუნარიანობა, აღმოჩნდა რომ მაგიდების და სკამების რაოდენობა არ იყო საკმარისი, აღნიშნულის შესყიდვა დაწესებულებამ განახორციელა იმ დღესვე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების დირექტორი იოსებ აბესაძე მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისთვის და ურთიერთთანამშრომლობისთვის. მისი თქმით, ვიზიტის განხორციელების დღიდან დაწესებულებამ მიიღო მნიშვნელოვანი მესიჯები, რომლებიც მათ სჭირდებოდათ, კოლეჯის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად და ამ მიმართულებით უკვე დაწყებული იყო ნაბიჯების გადადგმა. რაც შეეხება თანამშრომლების რეკრუტიზაციას, მიმდინარეობდა გამჭირვალე ღია კონკურსის წესით. დაწესებულების მთელი ადმინისტრაციული კოლექტივი ხვდება თითოეულს ადამიანს, აწარმოებენ მათთან გასაუბრებას, აფასებენ მათ შესაბამისობას კონკრეტულ მოვალეობებთან მიმართებაში. იოსებ აბესაძის განცხადებით, დაინტერესებული პირი თავის მხრის რეზდა ინფორმაციას საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და იმ ნაბიჯების შესახებ რაც მისი მხრიდან იქნებოდა გადასადგმელი დაწესებულების გასაძლიერებლად. მან აღნიშნა, რომ განათლების სფერო იყო საკმაოდ ფაქიზი და საპასუხისმგებლო სფერო და დაწესებულებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ეს ყოველივე. შესაბამისად დაწესებულების დირექტორმა მზაობა გამოაცხადა გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის ზვიად არმენაძის განცხადებით, შესაბამისობის გეგმა, თუნდაც იმ ვადაში რაც იყო მონიშნული, გულისხმობდა 30 ივნისს, მათი შეფასებით შესაძლებელი იყო შესრულება, თუმცა ექსპერტების რეკომენდაციას 6 თვის თავზე მოხდეს აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისობაში მოყვანა, ეთანხმებოდა ამ ნაწილშიც ექსპერტებს. მისი თქმით, იმ რისკების დაზღვევით, რომ რამდენად შეძლებდა დაწესებულება ყველა რეკომენდაციის შესრულებას, რომ მოხდარიყო დაზღვევა თუნდაც სტუდენტების ინტერესების, შესაძლებელი იყო უფრო ადრეც მომხდარიყო რეკომენდაციების შესაბამისობაში მოყვანა, დაწყებული რეგულაციების ცვლილებით დამთარებული ადმინისტრაციული პერსონალის აყვანითა და რეკრუტირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით. მონიტორინგის ვადად განისაზღვრა 2025 წლის 5 სექტემბერი.

ასევე, საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, გამოთხოვილ იქნას და მიეწოდოს საბჭოს შუალედური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიდის პროცესები დაწესებულებაში, იმ მიზნით, რომ სექტემბერში სწავლის დაწყებამდე, სტუდენტებისთვის მოწესრიგებული იყოს დასკვნაში აღნიშნული გარემოებები. შუალედური ინფორმაციის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 30 ივნისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15 აპრილს 15:56 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ჩხარტიშვილი ხათუნა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. N 5
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

პროგრამის სახელწოდება	ადმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. #50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	144
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N 50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N 50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117